კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები

(03.10.2021 – 30.10.2021)

კომუნიკაციების კომისია 2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მეორე ტურის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2021 წლის 03 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისებრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და „მთავარი არხი“. საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგი მთელი დღის განმავლობაში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინასაარჩევნო რეკლამა;

ბ) წინასაარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინასაარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2021 წლის საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებდნენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო. მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინასაარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებული იყო სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანი იყო ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენდნენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობდნენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობდა ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებდა კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავდა სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდებოდა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობდა/მონაწილეობდა გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებული იყო მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდებოდა გაშუქების ტონის შეფასება სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისებრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდებოდა შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

<u>**ძირითადი მიგნებები:**</u>

- **„საზოგადოებრივი მაუწყებელი“** არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა

ძირითადად დაბალანსებულად და ნეიტრალურად. ადგილი არ ჰქონია სიძულვილის ენის გამოყენებას, ეთერი ეთმობოდა პოლიტიკურ პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს. არხი აშუქებდა ყველა მნიშვნელოვან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციას , ადგილი არ ჰქონია დეზინფორმაციის და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ არხი პირდაპირ ეთერში ახდენდა ყველა იმ აქციის, ღონისძიების და პრეზენტაციის ტრანსლირებას, რომელიც მოაწყო როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ისე „ქართულმა ოცნებამ“. ასევე, გადაცემებში, სტუმრის რანგში, ეთერი დაეთმო როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებს.

- **„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“** ეთერში, საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ბათუმში მომხდარი ტრაგიკული მოვლენის გაშუქებას.

  წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად, მშვიდ ტონში. წამყვანები და ჟურნალისტები იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები მიმდინარეობდა დაბალანსებულად, მშვიდ ტონალობაში, ირონიისა და ემოციური ფონის გარეშე.

- **„ტელეიმედის“** ეთერში მონიტოირინგის პერიოდში გამოიკვეთა აშკარად მიკერძოებული და პოზიტიური დამოკიდებულება მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების მიმართ. აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება ვლინდებოდა პარტია “ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. დიდი რაოდენობით საეთერო დრო ეთმობოდა “ქართულ ოცნებას” და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, ოპოზიციური ძალები კი ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში შუქდებოდნენ.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ძირითადად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული. იყო შემთხვევა, როცა გადაცემის სტუმარი იყო არხის მფლობელი, რომელმაც ღიად დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება “ნაციონალური მოძრაობის” მიმართ. წამყვანები არ ერიდებოდნენ ირონიული დამოკიდებულების გამოხატვას ზოგიერთი საარჩევნო სუბიექტის მიმართ.

  აღსანიშნავია შემთხვევები, როცა გადაცემაში მიწვეულმა სტუმარმა სიძულვილის ენის შემცველი ლექსიკა გამოიყენა, რასაც წამყვანის მხრიდან ზოგ შემთხვევაში მოჰყვა მოთხოვნა თავი შეეკავებინათ მსგავსი ლექსიკის გამოყენებისგან, ზოგში კი არა.

- **„რუსთავი 2“-ის** საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ გადამოწმებულ, ფაქტებზე დაყრდნობილ ინფორმაციას ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდა აუდიტორიას. საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონდა დეზინფორმაციისა და მანიპულაციის შემთხვევებს.

  მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გამოშვების ფარგლებში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა მხარის პოზიცია მოესმინა, არხის მთავარ გამოწვევად კვლავ მხარეთა შორის ბალანსის დაცვა დარჩა. რაოდენობრივი ბალანსი დარღვეული იყო მმართველი პარტიის სასარგებლოდ, პირველი და შემაჯამებელი სიტყვის უფლებითაც უმეტესწილად სწორედ მმართველი პარტიის წარმომადგენლები სარგებლობდნენ.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანები მიუკერძოებლები იყვნენ, მათი მხრიდან ისმოდა კრიტიკული შეკითხვები როგორც მთავრობის, ისე მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ. თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც სტუმარმა შეურაცხმყოფელი რეპლიკა გამოიყენა, რომელსაც ჟურნალისტის შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

- არჩევნების პირველი ტურის შემდეგ **„ტვ პირველის“** ლოიალური განწყობა კონკრეტული ოპოზიციური პარტიების მიმართ კიდევ უფრო მკაფიო გახდა. მაუწყებელი მაყურებელს სთავაზობდა „საიდუმლო/კონფიდენციალურ წყაროზე“ დაყრდნობით მომზადებულ „ექსკლუზიურ“ მასალებს, რომლებიც ხშირად მტკიცებულებებით გამყარებული არ იყო. მომზადებული „ექსკლუზიური“ რეპორტაჟების თემა რეალურად მხოლოდ ჟურნალისტების ეჭვებსა და ვარაუდებს ეფუძნებოდა.

  საანგარიშო პერიოდში, დღის საუკეთესო მონაკვეთში გასულ საინფორმაციო გამოშვებებში ხელისუფლების აქტივობა და ქვეყნისთვის მაღალი დონის ვიზიტები მხოლოდ უარყოფით კონტექსტში, ხოლო ნაწილი მნიშვნელოვანი ოფიციალური ვიზიტებისა საერთოდ არ შუქდებოდა.

  „ტვ პირველზე“ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოვლენების ცალმხრივი და დაუბალანსებელი გაშუქება, ასევე ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტური მოსაზრებების და ოპოზიციური კანდიდატების მხარდაჭერის ღიად დაფიქსირება.

  საერთო ჯამში, „ტვ პირველის“ გადაცემები იყო მიკერძოებული და დაუბალანსებელი.

- **“მთავარი არხი“** მკვეთრად მიკერძოებული იყო ოპოზიციური „კოალიციის“ წარმომადგენლების, გამორჩეულად დიდი დრო კი „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მერობის კანდიდატს ეთმობოდა. საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები და წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებებს

მმართველი პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლების მიმართ. არხის საეთერო დრო ძირითადად მთავრობის და „ქართული ოცნების“ კრიტიკას ეთმობოდა.

ანალოგიური ვითარება იყო პოლიტიკურ თოქ-შოუებში და საავტორო გადაცემებში, სადაც წამყვანები თითქმის ყველაფერში ეთანხმებოდნენ რესპოდენტებს, რომლებიც ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ. გადაცემებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არა წამყვანი და რესპოდენტი, არამედ თანამოაზრეები საუბრობდნენ. წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ სიმპათიებს ოპოზიციის და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ხშირი იყო შეურაცხმყოფელი ლექსიკა, ასევე გვხვდებოდა წამყვანის მიერ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებიც.

არხზე ხშირად გადიოდა ცალმხრივი, დაუბალანსებელი სიუჟეტები და ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 27.4% (პოზიტიური - 9%, ნეგატიური - 6%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 27.0% (პოზიტიური - 8%, ნეგატიური - 6%), საქართველოს მთავრობა - 20.5% (პოზიტიური - 4%, ნეგატიური - 2%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებელი ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა ძირითადად დაბალანსებულად და ნეიტრალურად. ადგილი არ ჰქონია სიძულვილის ენის გამოყენებას, ეთერი ეთმობოდა პოლიტიკურ პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს. აღნიშნულ პერიოდში არხზე არ მომზადებულა დებატები, რომლის დროსაც საზოგადოებას საშუალება ექნებოდა პირდაპირ ეთერში მოესმინა პოლიტიკური სუბიექტების დისკუსია და მათი არგუმენტები, თუმცა, არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებსა და საინფორმაციო გამოშვებებში საეთერო დრო ეთმობოდა ყველა ძირითად პოლიტიკურ სუბიექტს. ადგილი არ ჰქონია არცერთი მნიშვნელოვანი და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის გამოტოვებას, დეზინფორმაციის და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას.

არხი მაყურებელს სთავაზობდა მრავალფეროვან მედიაპროდუქტს - სოციალური, კულტურული, ბიზნეს, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სპორტული, გასართობი, აგრარული და სამედიცინო ხასიათის გადაცემებს. ფართოდ და ამომწურავად შუქდებოდა საერთაშორისო მოვლენები.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივმა მაუყწებელმა საშუალება მისცა მაყურებელს მოესმინათ ისეთი კანდიდატებისათვის, რომლებსაც ნაკლებად ეთმობოდათ სატელევიზიო ეთერი (თამაზ მეჭიაური, „ მოამბე 18 საათზე, რუბრიკა „ინტერვიუ“).

არხი პირდაპირ ეთერში ახდენდა ყველა იმ აქციის, ღონისძიების და პრეზენტაციის ტრანსლირებას, რომელიც მოაწყო როგორც „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ისე „ქართულმა ოცნებამ“. ასევე, გადაცემებში, სტუმრის რანგში, ეთერი დაეთმო როგორც „ქართული ოცნების“, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ და სხვა ოპოზიცური პარტიების წარმომადგენლებს: „ლელო“,

„გახარია - საქართველოსთვის“, „ანა დოლიძე - ხალხისთვის“, „გირჩი“, „მოქალაქეები“, „მესამე ძალა“, „კანონი და სამართალი“, „ერთიანი საქართველოსთვის“.

საინფორმაციო გამოშვებებში შუქდებოდა „გირჩი - მეტი თავისუფლებას“, „დროას“, „ევროპული საქართველოს“ აქტივობები .

საინფორმაციო გამოშვებებში არხი ვრცლად აშუქებდა ეპიდსიტუაციას და იმუნიზაციის საკითხებსა და პრობლემატიკას, ასევე, საერთაშორისო ამბებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოში განვითარებულ პროცესებზეც (ენერგეტიკის საკითხები, რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები). ნებისმიერ სადისკუსიო საკითხზე მომზადებულ რეპორტაჟში მაყურებელს საშუალება ჰქონდა მოესმინა სხვადასხვა პარტიების პოზიცია.

საანგარიშო პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მომზადებულ ზოგიერთ სიუჟეტში გამოყენებული იყო ირონიული ტონი თუმცა, ადგილი არ ჰქონდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას და დისკრიმინაციული ლექსიკის, ან სიძულვილის ენის გამოყენებას.

29 ოქტომბერს „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გავიდა თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის ვიდეომიმართვა ამომრჩევლისადმი. აღსანიშნავია, რომ „მოამბის“ ამავე გამოშვებაში გადაიცა კალაძის კონკურენტის, ნიკა მელიას წინასაარჩევნო პრეზენტაციის ლაივი, სადაც მელიამ ასევე სიტყვით მიმართა ამომრჩეველს.

საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვებაში ნაკლებად გაშუქდა რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემატიკა. თუმცა, გადაიცემოდა პოლიტიკური აქციები, რომლებიც იმართებოდა სხვადასხვა ქალაქში (ზუგდიდის აქცია). ფართოდ იყო წარმოდგენილი სამთავრობო აქტივობები.

არჩევნების დღეს არხმა შემოგვთავაზა სპეციალური საინფორმაციო გამოშვება, თითქმის უწყვეტი ეთერი დილის 8 საათიდან 31 ოქტომბრის 02:00 საათამდე. მაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარე საარჩევნო პროცესისათვის, გასცნობოდა კანდიდატების და პოლიტიკური სუბიექტების მოსაზრებებს. დაბალანსებულად გაშუქდა პრობლემური უბნები, სადაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინციდენტებს. არხი გადასცემდა ყველა იმ ბრიფინგს, რომელიც მოეწყო საარჩევნო სუბიექტების და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ (შსს-ს ბრიფინგი, ცესკოს ბრიფინგები). ასევე, გადაიცემოდა დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ბრიფინგები.

საარჩევნო დღის ბოლოს არხმა სტუდია დაუთმო ანალიტიკოსებს. წარმოდგენილი იყვნენ როგორც ნეიტრალური, ისე კონკრეტულ პარტიებთან აფილირებული ექსპერტები. არჩევნების

დასრულების შემდეგ არხმა შემოგვთავაზა ინტერვიუ მმართველი პარტიის წარმომადგენელთან შალვა პაპუაშვილთან.

საზოგადოებრივ-პოილიტიკური გადაცემები - არხზე მზადდებოდა მრავალფეროვანი თემატიკის გადაცემები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემატიკაზე პროფესიულ დისკუსიას („რეალური სივრცე“, „ბიზნესპარტნიორი“, „ტაიმაუტი“, „დღის კოდი“, „42 პარალელი“), რაც ხელს უწყობდა პოლიტიკური დისკურსის მიღმა ქვეყანაში განვითარებული სხვადასხვა მოვლენების გაშუქებას. არხის მიერ მომზადებული გადაცემები საშუალებას აძლევდა ახალგაზრდა, დამწყებ პროფესიონალებს წარმოეჩინათ და საზოგადოებისთვის გაეცნოთ საკუთარი შესაძლებლობები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს სთავაზობდა რამდენიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას: **„დღის თემა“, „თავისუფალი ხედვა“, „აქტუალური შაბათი“**. აღნიშნული გადაცემები მაყურებელს აძლევდა შესაძლებლობას გაეგოთ პოლიტიკური სუბიექტების მოსაზრებები.

მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელს მაყურებლისთვის არ შეუთავაზებია კანდიდატების პირდაპირი დებატები, თუმცა, გადაიცა ინტერვიუები მათთან.

მაუწყებელმა გადაცემა („დღის თემა“ 28 ოქტომბერი) სრულად დაუთმო თბილისის მერობის ერთ კანდიდატს კახა კალაძეს. ასეთივე ფორმატი შესთავაზეს თბილისის მერობის მეორე კანდიდატს, ნიკა მელიასაც, თუმცა მან უარი განაცხადა გადაცემაში მონაწილეობაზე.

არხის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ გადაცემებში ეთერი ეთმობოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს - „აქტუალური შაბათი“ - თეა წულუკიანი; „დღის თემა“ - დავით ზალკალიანი.

„მოამბის“ 18 საათიან გამოშვებაში რუბრიკით **„ინტერვიუ“** საეთერო დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „გირჩი“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „ქართული ოცნება“ (სამჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„ახალ კვირაში“** გავიდა სიუჟეტები შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით: „ქართული ოცნება“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„დღის თემა“** პოლიტიკური პარტიებიდან პირდაპირი ეთერი დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ქართული ოცნება“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„აქტუალური შაბათი“** პირდაპირ ეთერში ინტერვიუ მომზადდა შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებთან: „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ). ასევე გადაიცა ინტერვიუ დამოუკიდებელ დეპუტატთან სალომე სამადაშვილთან (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„თავისუფალი ხედვა“** სტუდიაში სტუმრად იყვნენ მიწვეულები შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ანა ოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
47%
53%
მესამე ძალა
30%
70%
ნაციონალური მოძრაობა
54%
46%
საქართველოს მთავრობა
47%
53%
ლელო
49%
51%
მოქალაქეები
27%
73%
გირჩი
28%
72%
გახარია - საქართველოსთვის
46%
54%
საქართველოს პრეზიდენტი
62%
38%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
100%
97%
3%
100%
98%
2%
86%
8%
6%
94%
4%
2%
86%
8%
6%
100%
85%
9%
6%
საქართველოს პრეზიდენტი
გახარია - საქართველოსთვის
ვირჩი
მოქალაქეები
ოელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება



საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 34.4% (პოზიტიური - 15%, ნეგატიური - 16%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 27.8% (პოზიტიური - 8%, ნეგატიური - 23%), აჭარის მთავრობა – 14.9% (პოზიტიური - 22%, ნეგატიური - 0%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის მეორე ტურის მონიტორინგს დაექვემდებარა „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“ 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვება **„მთავარი“.**

უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებლის უკვე დაგეგმილ წინასაარჩევნო დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა 8 ოქტომბრის ბათუმში მომხდარმა ტრაგედიამ. **„მთავარის“** პირდაპირი ეთერი რამდენიმე დღის განმავლობაში მთლიანად ეთმობოდა ტრაგედიის გაშუქებას.

წინასაარჩევნო დღის წესრიგს მაუწყებელი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაუბრუნდა. აღნიშნულ პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება მიმდინარეობდა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად, მშვიდ ტონში. წამყვანები და ჟურნალისტები მაქსიმალურად იცავდნენ ობიექტურ მიდგომას ყველა წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიმართ. ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვას, დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენებას. მომზადებული სიუჟეტები იყო დაბალანსებული. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოვლენის გაშუქების დროს პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მხარე, ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რა მიზეზით არ მიიღო მონაწილეობა მეორე მხარემ. თითოეულ სიუჟეტში მხარეებს შორის დრო თანაბრად იყო დათმობილი, ყველა მონაწილეს ეძლეოდა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება.

რესპონდენტის მიერ მკვეთრი და მიუღებელი გამოთქმების გამოყენების მცდელობისას გადაცემის წამყვანები მაქსიმალურად ცდილობდნენ მიეთითებინათ სუბიექტისთვის დაეცვა კორექტულობა. მაგალითად, 21 ოქტომბერს, სტუდიაში ინტერვიუსთვის მოწვეულმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა უხეშად მიმართა ოპონენტს, წამყვანმა დაუყოვნებლივ მოუწოდა კორექტულობისკენ. (21 ოქტომბერი, 20:09 სთ.).

ახალი ამბების წამყვანები მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით სვმადნენ საგნობრივ და კრიტიკულ შეკითხვებს. წამყვანი არ აძლევდა რესპონდენტს საშუალებას გვერდი აევლო მისთვის არასასურველ კითხვებზე პასუხისთვის.

საანგარიშო პერიოდის გაშუქებისას მაუწყებელმა აქცენტები გააკეთა მეორე ტურში გასული ორი სუბიექტის პოლიტიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული ხედვების ამომრჩევლისთვის გაცნობაზე. ჟურნალისტების და წამყვანების ტონი იყო მშვიდი, გაწონასწორებული და ფაქტებზე ორიენტირებული.

მონიტორინგის პერიოდში შუქდებოდა ყველა ის აქტივობა რომელსაც ახორციელებდნენ პოლიტიკური სუბიექტები, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე უშუალოდ აჭარის რეგიონში. პოლიტიკური წინასაარჩევნო სიუჟეტები „მთავარში“ განთავსებული იყო არა ახალი ამბების დასასრულს, არამედ აქტუალური ზოგადი სიუჟეტების ბლოკში, რაც ზრდიდა მათი ყურების ალბათობასა და აღქმადობას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები: **„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“, „მთავარი აჭარაში“,** და **„სათქმელი“.**

„თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად“ - მეორე ტურში გადაცემის ფორმატი უცვლელი დარჩა. წამყვანი სტუდიაში იწვევდა სტუმრებს დღის აქტუალური პოლიტიკური მოვლენის, ფაქტის მიხედვით. გადაცემა აგებული იყო კითხვა-პასუხის პრინციპზე, აღსანიშნავია, რომ პირველ ტურში გადაცემები უფრო მრავალფეროვანი იყო, რასაც განაპირობებდა არჩევნებში მონაწილე პარტიების რაოდენობა. ეს ფაქტი ერთგვარად დაეტყო საავტორო გადაცემას. მიუხედავად მწვავე კითხვებისა, საუბარი ეხებოდა არა მეორე ტურში გასული სუბიექტების პროგრამულ ხედვებს, გეგმებს, რეგიონულ პერსპექტივებს, არამედ ურთიერთბრალდებებს. მაგალითად, 20 ოქტომბრის გადაცემაში მიწვეული იყვნენ არჩილ ჩიქოვანი „ქართული ოცნებიდან“ და გიორგი კირთაძე „ნაციონალური მოძრაობიდან“. დროის დიდი ნაწილი ურთიერთბრალდებებს დაეთმო, ინტერესს მიღმა დარჩა ძირითადი და აქტუალური თემები. ბათუმში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების ფონზე მომავალი მერის გრძელვადიანი და უახლოესი გეგმების, ხედვების წარმოჩენა.

არანაკლებ ცხარე ეთერი იყო 27 ოქტომბერს, არჩევნებამდე 3 დღით ადრე, თუმცა ამ შემთხვევაში კამათის თემა იყო არა რეგიონული წინასაარჩევნო პროგრამების, გეგმების შემაჯამებელი ანალიზი, არამედ მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ 27 ოქტომბერს გავიდა „თავისუფალი სივრცის“ წინასაარჩევნო ციკლის ბოლო გადაცემა, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა მის ფუნქციურ დატვირთვას უშუალოდ საარჩევნო გარემოს გაშუქების მიმართულებით და მაყურებლის, როგორც ამომრჩევლის საბოლოო განწყობის ჩამოსაყალიბებლად.

3 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით მაუწყებლის ეთერით გავიდა „თავისუფალი სივრცის“ 6 გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები:

„ნაციონალური მოძრაობა“ - (ოთხჯერ), „ქართული ოცნება“ - (ხუთჯერ), „კანონი და სამართალი“ - (ერთხელ).

„მთავარი აჭარაში“ - საავტორო გადაცემა მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური წინასაარჩევნო თემატიკით გავიდა ორჯერ. ფორმატი ითვალისწინებდა მოწვეულ სტუმრებთან/პოლიტიკოსებთან საარჩევნო ბატალიებზე საუბარს კითხვა-პასუხის რეჟიმით. ორივე გადაცემაში ძირითადი აქტორები იყვნენ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც გადალახეს პირველი ტური და მოიპოვეს მანდატი ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოში. პირველი გადაცემა პირველი ტურის დასრულებიდან მალევე, 5 ოქტომბერს გავიდა ეთერში. ამდენად, საუბარი შეეხო იმ მოვლენებს, რომლებიც თან სდევდა არჩევნების პირველ ეტაპს: ძალთა გადანაწილების ტენდეციას, გაყალბების ალბათობას, წინასაარჩევნო გარემოს აღწერას. გადაცემის წამყვანი მიუკერძოებლად, დროის თანაბარი გადანაწილების პრინციპით საშუალებას აძლევდა მოწვეულ სტუმრებს სრულად გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება

აღნიშნული პროცესების მიმართ. გადაცემები მიმდინარეობდა წამყვანის მიერ შეთავაზებულ მშვიდ ტონალობაში, ირონიისა და ემოციური ფონის გარეშე. მეორე გადაცემა გავიდა 19 ოქტომბერს, რომლის დროსაც გადაცემის თემები და კითხვები ორიენტირებული იყო ბათუმის რეალობაზე, ძალთა გადანაწილებისა და მისი ეფექტურად გამოყენების გზებზე, თვითმმართველი ქალაქის მართვის პროცესზე. აქცენტები გაკეთდა საკრებულოში შემდგომი საქმიანობის პერსპექტივაზე და ა.შ.

აღნიშნულ პერიოდში გადაცემაში მოწვეული იყვნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები:

„ქართული ოცნება“ - (ერთხელ), „გახარია-საქართველოსთვის“ - (ორჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ - (ორჯერ), „ლელო“ - (ორჯერ).

„სათქმელი“ - საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის ფორმატი იყო სტანდარტული, კითხვა-პასუხის რეჟიმით. მოწვეულ სტუმარს პასუხის გასაცემად ეძლეოდა განსაზღვრული დრო (2 წუთი, დამატებითი კითხვისთვის - 1 წუთი). საანგარიშო პერიოდში გავიდა სამი გადაცემა, რომელთაგან ერთი მთლიანად ეძღვნებოდა კოვიდ ვითარებას და მასზე სამსჯელოდ მოწვეული იყო ექიმი და პოლიტიკოსი, „ევროპული საქართველოს“ ბათუმის მერობის ყოფილი კანდიდატი ვახტანგ კალოიანი. გადაცემები აგებული იყო მიუკერძოებლობის პრინციპზე, იყო მშვიდი, საქმიანი და სიძულვილის ენის გარეშე.

აღნიშნულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში მოწვეული იყვნენ:

„ნაციონალური მოძრაობა“ - (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ - (ერთხელ).

გადაცემაში ასევე უნდა ყოფილიყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, თუმცა მათ უარი განაცხადეს მონაწილეობაზე, რაც აღინიშნა გადაცემის წამყვანის მიერ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი არ შესულა.


აჭარის ტელევიზია
34,4%
27,8%
14,9%
6,1%
4,5%
4,5%
4,2%
1,7%
2,0%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
აჭარის მთავრობა
საქართველოს მთავრობა
ლელო
გახარია - საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
მესამე ძალა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 43% 57%
მესამე ძალა 27% 73%
ნაციონალური მოძრაობა 62% 38%
საქართველოს მთავრობა 41% 59%
ლელო 40% 60%
გახარია - საქართველოსთვის 64% 36%
აჭარის მთავრობა 11% 89%
ადგილობრივი მთავრობა 32% 68%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
2%
94%
3%
22%
78%
8%
88%
5%
5%
94%
1%
3%
84%
13%
8%
69%
23%
9%
84%
8%
15%
69%
16%
ადგილობრივი მთავრობა
აჭარის მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ო�d
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
მესამე ძალა
ქართული ოცნება





„ტელეიმედი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ - 38.1% (პოზიტიური - 54%, ნეგატიური - 2%), „ნაციონალური მოძრაობა“ –

34.9% (პოზიტიური - 5%, ნეგატიური - 76%), საქართველოს მთავრობა - 12.7% (პოზიტიური - 34%, ნეგატიური - 1%), ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მონიტორინგის პერიოდში მაუწყებლის მხრიდან გამოიკვეთა მიკერძოებული და აშკარად პოზიტიური დამოკიდებულება მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების მიმართ.

პოზიტიურად შუქდებოდა პარტია "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანია. მაუწყებელი სიუჟეტებში ხშირად წარმოაჩენდა კონტრასტს მმართველი პარტიისა და ოპოზიციური ძალების მიერ წარმოებულ კამპანიებს შორის. კერძოდ, ხაზგასმული იყო , რომ „ქართული ოცნება" ორიენტირებული იყო საარჩევნო პროგრამის გაცნობაზე, „ნაციონალური მოძრაობა" კი არჩევნებს რეფერენდუმად მიიჩნევდა და ფართო პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა. მაუწყებელმა რამდენიმე სიუჟეტი მოამზადა ოპოზიციური პარტიის კანდიდატის, კერძოდ "ნაციონალური მოძრაობის" რუსთავის მერობის კანდიდატის დაპირებების არარეალურობასა და სიცრუეზე.

მაუწყებლის მხრიდან აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება ვლინდებოდა პარტია "ნაციონალური მოძრაობის" მიმართ. არჩევნების პირველი ტურის შეჯამებისას წამყვანმა განაცხადა- "მმართველი პარტიის მთავარი კონკურენტი ისევ „ნაციონალური მოძრაობაა". სააკაშვილის მმართველობისა და მისი პარტიის წარსულის მიუხედავად, 30 პროცენტს სურს ქვეყანაში კვლავ დაბრუნდეს ძალადობაში, მკვლელობასა და წამებაში მხილებული პარტია." 18 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვება დაიწყო „ტელეიმედის" შემდეგი განცხადებით: „ნაციონალური მოძრაობა" ისევ რევანშისთვის ემზადება, რომ რომელიმე მუნიციპალიტეტში მაინც მოიგოს მერის არჩევნები, სადაც რევოლუციური შტაბისა და დესტრუქციის კერის შექმნას შეეცდება...", „ჩვენ კარგად ვიცით რას ნიშნავს „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობა ხალხისთვის და მედიისთვის და ვერ დაუშვებთ მის რევანშს. „იმედი" როგორც ამ ბრძოლის სიმბოლო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის...", „მიგვაჩნია, რომ სისხლიანი რეჟიმის სიმბოლოები და სახეები არ უნდა ფიქრობდნენ ძალაუფლების დაბრუნებაზე, არამედ ისინი უნდა იხდიდნენ სასჯელს დანაშაულებისათვის სასამართლო განაჩენის შესაბამისად. ეს არის ჩვენი მისია ვილაპარაკოთ სიმართლე და არ დავუშვათ წარსული დაბრუნება, რომელიც ყველას გვახსოვს".

მონიტორინგის პერიოდში დიდი დრო ეთმობოდა "ქართული ოცნების" მერობის კანდიდატს თბილისში. მაგალითად, 12 ოქტომბრის საინფორმაციო გამშვება დაიწყო კახი კალაძეზე მომზადებული სიუჟეტით, სადაც იგი საუბრობდა მეორე ტურზე, სამზადისზე და ოპონენტებზე. სიუჟეტში წამყვანმა თქვა: "ოპონენტის კრიტიკა კალაძის საარჩევნო ტაქტიკის ნაწილი არც ამჯერად იქნება. ვეცადეთ, მაგრამ მასზე ვერაფერი ვათქმევინეთ." ხოლო 21

ოქტომბერს მაუწყებელმა გაუშვა სიუჟეტი კალაძის საქმიანობაზე, სადაც შეაჯამა გასულ 4 წელში თბილისის მასშტაბით განხორციელებული პროექტები. აღსანიშნავია, რომ 27 ოქტომბერს "ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებული შემაჯამებელი აქცია მაუწყებელმა სრულად გააშუქა პირდაპირ ეთერში, რასაც ჯამში 1 საათი დაუთმო.

არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ, საარჩევნო პორცესების შემაჯამებელ სიუჟეტებში გამოიყენებოდა ნეგატიური ტონი პარტია "საქართველოსთვის" თავმჯდომარის გიორგი გახარიას მიმართ. სიუჟეტებში ხაზგასმული იყო, რომ გიორგი გახარიას საარჩევნო პროცესებში ჩართვის მიზანს "ქართული ოცნებისთვის" ხმების წართმევა წარმოადგენდა. 4 ოქტომბრის სიუჟეტში ჟურნალისტმა თქვა - "საკუთარი მისია შეასრულა გიორგი გახარიამ - თბილისში მეორე ტურია, თუმცა ის ბრძოლას გამოეთიშა. დედაქალაქის ამომრჩეველმა გახარიას უარი უთხრა და მის ანგარიშზე მხოლოდ 9 პროცენტია. გადამდგარმა ყოფილმა პრემიერმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ყოფილ გუნდს პროცენტები წაართვა, თუმცა არჩევნებში დამარცხდა." ასევე გახარიას მიმართ მაუწყებლის ნეგატიური დამოკიდებულება გამოვლინდა 7 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ გამოყენებულ ფრაზაში - "გახარიას გულწრფელობა ქართულ პოლიტიკურ მმართველობაში დიდი ხანია ეჭვებს ბადებს. ერთია რას ამბობს ყოფილი პრმიერი და მეორეა რა ხდება რეალურად."

მონიტორინგის პერიოდში აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის პატიმრობა, რასთან დაკავშირებითაც სიუჟეტები მაუწყებლის ეთერში ყოველდღიურ რეჟიმში გადაიცემოდა. მომზადებულ სიუჟეტებში ვლინდებოდა მაუწყებლის ნეგატიური დამოკიდებულება, როგორც მისი პერსონის, ისე ზოგადად „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ. მაუწყებლის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში "ნაციონალური მოძრაობა" წარმოდგენილი იყო დესტრუქციული მიზნების მქონე პარტიად, რომელიც აქტიურად იყენებდა სიძულვილის ენას. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის" აქციის შესახებ სიუჟეტის შემდეგ ნაჩვენები იყო სიუჟეტი - "სიძულვილის ენა „ნაციონალური მოძრაობის" აქციაზე", რომლის დაწყებისას წამყვანმა თქვა: "შერიგების მოწოდება და სიძულვილის გავრცელება ერთად, ერთ აქციაზე. „ნაციონალური მოძრაობის" ნათქვამი გაკეთებულს კიდევ ერთხელ ასცდა. თითქოს მშვიდობიანი მიზნით შეკრებილებისგან, ტრიბუნიდან მხოლოდ ლანძღვა და შეურაცხყოფა ისმოდა. „ქართული ოცნებისთვის" სიახლე არ არის ის, რომ სააკაშვილის გუნდს სხვა ფორმით ამომრჩეველთან კონტაქტის რესურსი არ აქვს."

15 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში გიგი უგულავას მიერ საკარანტინე წესების დარღვევის თაობაზე მომზადებულ სიუჟეტში წამყვანმა თქვა: "ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აქცია კოვიდ ნაღმი აღმოჩნდა. მომღერალმა ლექსენმა პანდემიაზე გარეპა, კოვიდის პოლიტიკურ იარაღად გამოყენებაში ხელისუფლება დაადანაშაულა და ამის შემდეგ

სცენა გიგი უგულავას დაუთმო. ის რაც ვერავინ შეძლო, უგულავა ამბობს, რომ მას გამოუვიდა, კოვიდი შვიდ დღეში დაამარცხა."

საანგარიშო პერიოდში „ტელეიმედის" მხრიდან სისტემატური სახე ჰქონდა "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიის კრიტიკას, ასევე აქცენტი კეთდებოდა მათი დაპირებების არარეალურობაზე. 19 ოქტომბერს საინფორმაციო გადაცემის მეორე სიუჟეტი მიეძღვნა ნიკა მელიას წინასაარჩევნო დაპირებებს, სადაც სიუჟეტის ავტორმა განაცხადა: "საჯარო სკოლები, პენსიონერები, სტუდენტები - მელიას სამი ტყუილი. „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა ხალხთან ურთიერთობა მხოლოდ ახლა და თან სიცრუით დაიწყო. აბსურდული დაპირებები ქალაქის ქუჩებში მელიას ფოტოსთან ერთად სააკაშვილის გუნდის საარჩევნო კამპანიაა." ამავე სიუჟეტის შეჯამებისას ისმის ავტორის ხმა - "ერთი შეხედვით ეს თვალსაჩინოება თბილისის და თბილისელების წინაშე უკეთესი მომავლის პერსპექტივას უნდა შლიდეს. ზოგიერთი შეიძლება კიდევაც მოტყუვდეს, მაგრამ რამდენად მაღლა და დიდი ასოებითაც არ უნდა ეწეროს უტოპიური იდეები, სწორი მენეჯმენტის პირობებშიც კი, უფასო ყველი, მხოლოდ სათაგურშია."

მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა ოპოზიციის მიერ წარდგენილ ე.წ ჩრდილოვან კაბინეტზეც. სიუჟეტებში ოპოზიციის კოალიციური გაერთიანება არარეალურ ქმედებად იყო შეფასებული - "არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ პარტიას პოლიტიკური ამბიცია ჰყოფნის და თბილისის ჩრდილოვან კაბინეტზე მუშაობს." "მელიას პოლიტიკურ შოუდ" მოიხსენია საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატების ერთობლივი ღონისძიება. ხშირად გვხვდებოდა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციას არ ჰქონდა საკმარისი რესურსი თბილისის მთავრობის დასაკომპლექტებლად - "მეორე ადგილზე გასული პარტიის პოლიტიკურ ამბიციებს, როგოც ირკვევა, დედაქალაქის მასშტაბიც ვერ იტევს."

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი პირდაპირ ეთერს უთმობდა და აშუქებდა ისეთ მნშვნელოვან ღონისძიებებს, როგორებიცაა აშშ-ს თავდაცვის მდივნის ვიზიტი, საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენციები, ეუთო/ოდირის პირველადი ანგარიშის პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში მაუწყებელი პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნების" ოფისში გამართულ ბრიფინგებს სისტემატურად პირდაპირ ეთერში აშუქებდა. იგივეს ვერ ვიტყვით სხვა პარტიებთან მიმართებაში.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემები - ხმის მიცემის პროცესი აქტიურად შუქდებოდა თითქმის უწყვეტი ეთერის საშუალებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუს ფორმატით. 3 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანებმა შეაჯამეს არჩევნების შედეგები. მეორე ტურებზე საუბრისას გადაცემის წამყვანები აცხადებდნენ, რომ მეორე ტურებში

სახელისუფლებო პარტია აუცილებლად გაიმარჯვებდა:“ხალხის გადაწყვეტილებით კალაძეს მაინც მერე ტურში მოუწევს ბრძოლა, თუმცა, მეორე ტურის შედეგი წინასწარ შემიძლია გითხრა მაგდა. მართალია, აქ საეჭვო არაფერია!”.

„იმედის კვირა“ - გადაცემის ფარგლებში მომზადებული სიუჟეტები სისტემატურად ეძღვნებოდა “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის პერიოდს და ამ პერიოდში დაზარალებული პირების ისტორიებს. გადაცემაში სიუჟეტის ფორმატში ინტეგრირებული იყო ქუჩის გამოკითხვა, სადაც ნაჩვენები იყო მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

3 ოქტომბერს გადაცემაში მიწვეული იყო პრემიერ-მინისტრი და “ქართული ოცნების” პოლიტიკური მდივანი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ისაუბრა მიხეილ სააკაშვილზე. გადაცემის მიმდინარეობისას ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა შემდეგი განცხადება - “ეს ხომ არანორმალურმა კაცმა, ავადმყოფმა კაცმა შეიძლება დაიჯეროს. აი ილუზიებში ვინც ცხოვრობს, ილუზიებით ვინც ცხოვრობს, მან შეიძლება დაიჯეროს”, რაზეც გადაცემის წამყვანს რეაგირება არ მოუხდენია.

10 ოქტომბრის სიუჟეტში სახელად “მელიას რადიკალური გეგმები” ხაზი იყო გასმული მელიას არაკომპეტენტურობაზე ქალაქის მერის თანამდებობის დასაკავებლად. ამავე სიუჟეტში ავტორი ამბობს - “სამაგიეროდ ნიკა მელია დღიდან მისი „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ სახედ გამოცხადებისა ბევრად სხარტია იმ სივრცეში, სადაც პოლიტიკოსისთვის უჩვეულო, თუმცა მისთვის დამახასიათებელი უნარების გამოვლენის შესაძლებლობა ეძლევა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების დემონსტრირებით.“

საანგარიშო პეროდში გადაცემაში წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: “ქართული ოცნება” (ცხრამეტჯერ), “ნაციონალური მოძრაობა” (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობა (ორჯერ), აჭარის მთავრობა (ერთხელ).

„იმედი LIVE“ - მონიტორინგის პერიოდში გადაცემის ფორმატი გულისხმობდა მიმდინარე მოვლენების შეჯამებას, ინტერვიუს “ქართული ოცნების” წარმომადგენელსა და სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან. შემდეგ ბლოკში მოწვეული ჰყავდათ პირები ან მათი ოჯახის წევრები, რომლებიც წინა ხელისუფლების მმართველობით დაზარალებულებად მიიჩნევდნენ თავს. მაუწყებლის მიერ დაანონსებული საგანგებო რეჟიმიდან გამომდინარე, გადაცემა “იმედის” ეთერში თითქმის ყოველდღიურ რეჟიმი იყო განთავსებული.

ფორმატიდან გამომდინარე, წამყვანები მიწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავდნენ მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს. გადაცემის მსვლელობისას წამყვანები ხშირად აფიქსრებდნენ საკუთარ აზრს და საკუთარ პოლიტიკურ შეფასებებს. მაგალითად, ერთ-ერთ

გადაცემაში წამყვანის მხრიდან გაისმა ფრაზა - "ეს საოცარი განცხადებაა, უბრალოდ თავხედობის პიკია. ნაციონალებმა მემგონი საკუთარ თავს აჯობეს ამაში." ირონიული განცხადებები გაკეთდა გადაცემის წამყვანების მიერ მიხეილ სააკაშვილის მიმართაც - "სააკაშვილს უყვარს სიმბოლოები, თუმცა, მე მგონია, რომ ამჯერად ფეხი არაჟანზე აუცდა. და საინტერესოა ის, რომ წელს, რომ მაგალითად საქართველოში ტარდებოდეს კინოდაჯილდოება, ეროვნული ოსკარი რომ გვქონდეს, საუკეთესო დრამატული როლისთვის, მგონია, რომ სააკაშვილს წარადგენდნენ."

გადაცემაში ხშირად იყვნენ მიწვეული „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში დაზარალებული პირები, რომლებიც საკუთარ ისტორიებზე საუბრობდნენ. გადაცემის მსვლელობისას წამყვანები აცხადებდნენ, რომ გადაცემა ემსახურებოდა საზოგადოებისათვის „ნაციონალური მოძრაობის" რეალური სახის შეხსენებას, რათა მომავალმა თაობებმა და საზოგადოებამ იცოდეს თუ რა ტერორში უწევდა საზოგადოებას ცხოვრება.

23 ოქტომბრის გადაცემაში მიწვეული იყო მაუწყებლის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი - ირაკლი რუხაძე, რომელმაც ისაუბრა საარჩევნო გარემოზე, ნეგატიურად შეაფასა ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი თბილისის მთავრობის წევრობის კანდიდატები და კიდევ ერთხელ ცალსახად დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება "ნაციონალური მოძრაობის" მიმართ.

აღსანიშნავია 6 ოქტომბრის გადაცემა, სადაც მიწვეული სტუმრის მიერ გაისმა სიძულვილის ენის შემცველი ლექსიკა, კერძოდ ტერმინი "ავადმყოფები", რასაც წამყვანის მხრიდან მოჰყვა მოთხოვნა თავი შეეკავებინათ მსგავსი ლექსიკის გამოყენებისგან.

საანგარიშო პეროდში გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: "ქართული ოცნება" (ჩვიდმეტჯერ).

არჩევნები 2021 - 12 ოქტომბრის გადაცემა მიეძღვნა წინა ხელისუფლების დროს დაზარალებულ ადამიანებს. მიწვეული და ჩართული იყვნენ ყოფილი ხელისუფლების დროს დაზარალებული ადამიანები, რომლებიც ყვებოდნენ თავიანთ ისტორიებს და ამბობდნენ, რომ სააკაშვილის პატიმრობა მათთვის სამართლიანობის ზეიმს გულისხმობს და რომ მისი გათავისუფლება პირადად ამ ხალხის შეურაცხყოფა იქნებოდა. გადაცემის მსვლელობისას ერთ-ერთმა სტუმარმა განაცხადა: „მიშამ ძალიან კარგად იცის, რომ გარეთ მაგის გამოსვლა არ შეიძლება, გარეთ რომ გამოვიდეს თითოეული ჩვენთაგანი, ის ადამიანები, რომლებიც აქ ვსხედვართ და შემთხვევით ცოცხლები ვართ დარჩენილები მათი რეჟიმის დროს, იმას ცოცხალს არავინ არ დატოვებს". წამყვანი ჩაერია და მიუთითა, რომ ასეთი განცხადებები აღარ გაეკეთებინათ.

აღსანიშნავია, რომ მეორე ტურის კენჭისყრის წინა დღეს გადაცემაში მიწვეული იყო პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნების" გუნდი, სადაც გუნდის წევრებმა შეაჯამეს წინასაარჩევნო კამპანია. პარტიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს როგორც საკუთარ წინასაარჩევნო სტრატეგიაზე, ასევე გააკრიტიკეს ოპონენტები და მათ მიერ წარმოებული საარჩევნო კამპანია. ასეთი შესაძლებლობა სხვა საარჩევნო სუბიექტებს არ მისცემიათ.

საანგარიშო პეროდში გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: "ქართული ოცნება" (ოცდათვრამეტჯერ).

ქრონიკა - საანგარიშო პეროდში გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: "ქართული ოცნება" (თექვსმეტჯერ), საქართველოს მთავრობა (სამჯერ), აჭარის მთავრობა (ოთხჯერ), ადგილობრივი თვითმმართველობა (ერთხელ).

სიცრუის დეტექტორი - საანგარიშო პეროდში გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: "ქართული ოცნება" (ერთხელ).

ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად - საანგარიშო პეროდში გადაცემაში მონაწილეობდნენ შემდეგი სუბიექტების წარმომადგენლები: "ქართული ოცნება" (ერთხელ).

მონიტორინგის პერიოდში მაუწყებლის ეთერში საარჩევნო სუბიექტებს შორის დებატები არ გამართულა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის" თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.


იმედი
38,1%
34,9%
12,7%
4,2%
1,6%
1,5%
1,4%
1,0%
0,7%
4,0%
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ლელო
საქართველოს პრეზიდენტი
გახარია - საქართველოსთვის
გირჩი - მეტი თავისუფლება
კანონი და სამართალი
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება 39% 61%
კანონი და სამართალი 82% 18%
საქართველოს პრეზიდენტი 76% 24%
ნაციონალური მოძრაობა 85% 15%
საქართველოს მთავრობა 49% 51%
ლელო 68% 32%
გირჩი - მეტი თავისუფლება 82% 18%
გახარია - საქართველოსთვის 79% 21%
ადგილობრივი მთავრობა 63% 37%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
97%
3%
21%
79%
1%
36%
63%
2%
44%
54%
34%
65%
1%
5%
19%
76%
100%
6%
34%
60%
54%
44%
2%
ადგილობრივი მთავრობა
გახარია - საქართველოსთვის
ბერძნიშვილი - მეტი თავისუფლება
ლელი
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
კანონი და სამართალი
ქართული ოცნება





„სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ - 45.8% (პოზიტიური - 39%, ნეგატიური - 4%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 24.1% (პოზიტიური - 14%, ნეგატიური - 39%), საქართველოს მთავრობა - 13.2% (პოზიტიური - 18%, ნეგატიური - 2%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - წინასაარჩევნო მონიტორინგს დაექვემდებარა „ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის 21:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვება „კურიერი''.

,,კურიერი“ გადამოწმებულ, ფაქტებზე დაყრდნობილ ინფორმაციას ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდა აუდიტორიას. საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონდა დეზინფორმაციისა და მანიპულაციის შემთხვევებს.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად ეთმობოდა დრო ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ მოვლენებს, როგორებიცაა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა საერთაშორისო ვიზიტები და თანმდევი პრესკონფერენციები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელთა ვიზიტები საქართველოში. ამას გარდა, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ყოველდღიურ რეჟიმში ინფორმაცია მიეღო ექსპრეზიდენტის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებელმა ბათუმში, საცხოვრებელი კორპუსის ნგრევით გამოწვეული ტრაგედიის დეტალები უწყვეტ რეჟიმში, ჟურნალისტური ეთიკის დაცვითა და პროფესიული სტანდარტით გააშუქა.

მიუხედევად იმისა, რომ საინფორმაციო გამოშვების ფარგლებში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა მხარის პოზიცია მოესმინა, არხის მთავარ გამოწვევად კვლავ საინფორმაციო გამოშვების ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტებში მხარეთა შორის ბალანსის დაცვა დარჩა. რაოდენობრივი ბალანსი დარღვეული იყო მმართველი პარტიის სასარგებლოდ, პირველი და შემაჯამებელი სიტყვის უფლებითაც უმეტესწილად სწორედ მმართველი პარტიის წარმომადგენლები სარგებლობდნენ:

20 ოქტომბერს 22:29 საათზე გასული სიუჟეტი - ,,ევროპარლამენტარების წერილი'' მმართველი პარტიის წევრის შეფასებით დაიწყო, მას მოჰყვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა კომენტარები, ბოლოს კი კვლავ „ქართული ოცნების“ 2 წევრის შეფასებით დასრულდა საკითხის შეჯამება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურ რეჟიმში შუქდებოდა ,,ქართული ოცნების'' წინასაარჩევნო აქტივობები, როგორც დედაქალაქში, ისე იმ თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მეორე ტური იყო დაგეგმილი. წინასაარჩევნო აქტივობების ფარგლებში მმართველი პარტიის ლიდერების რიტორიკა გაჯერებული გახლდათ ,,ნაციონალური მოძრაობის'' კრიტიკით. ძირითადი აქცენტი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე

კეთდებოდა. საგულისხმოა, რომ მსგავსი ხარისხითა და სიხშირით მაუწყებელს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა აქტივობები არ გაუშუქებია.

საანგარიშო პერიოდში არ ხდებოდა ჟურნალისტების მხრიდან მკვეთრად ნეგატიური ან პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა, თუმცა იყო გამონაკლისი, როცა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა ირონიული დამოკიდებულება გამოხატა „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ: ,,ნიკა მელიას მიხეილ სააკაშვილის აჩრდილი პარლამენტშიც თან სდევს''.

უნდა აღინიშნოს, რომ არხის მიდგომა პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ აქციებთან მიმართებით არაერთგვაროვანი აღმოჩნდა და ამ შემთხვევაშიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ:

14 ოქტომბერს ,,ნაციონალური მოძრაობის'' აქციის პირდაპირი ტრანსლაცია მაუწყებელს არ განუხორციელებია. მაუწყებელმა ჟურნალისტების ადგილიდან ჩართვით გააშუქა თავისუფლების მოედანზე მიმდინარე მოვლენები, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების განცხადებები, რასაც ჯამში 3 წუთზე ნაკლები დაეთმო.

27 ოქტომბერს მაუწყებელმა ,,ქართული ოცნების'' მიერ ორგანიზებული შემაჯამებელი აქციის პირდაპირი ტრანსლაცია მოახდინა. ,,კურიერის'' ძირითადი ნაწილი სწორედ აქციას ეხებოდა და მმართველ გუნდს პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენდა. მეტიც, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა გამომსვლელთა მოწოდებები სრულყოფილად მოესმინა, რომელთა რაოდენობა და დათმობილი პირდაპირი დრო მნიშვნელოვნად აღემატებოდა ოპოზიციური პარტიის მიერ განხორციელებული აქციის შემთხვევაში დათმობილ დროს.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური პროგრამები: მონიტორინგს დაექვემდებარა ორი საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემა: **,,დღის კურიერი''** და **,,ღამის კურიერი''**.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **,,დღის კურიერი''** სტუმრობდნენ: ,,ქართული ოცნება'' (ცამეტჯერ), ,,ნაციონალური მოძრაობა'' (ათჯერ), ,,გირჩი'' (ერთხელ), ,,მესამე ძალა'' (სამჯერ), ,,გირჩი - მეტი თავისუფლება'' (ორჯერ), ,,ლელო'' (სამჯერ), ,,მოქალაქეები'' (ერთხელ), საქართველოს მთავრობა (ოთხჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ).

,,ღამის კურიერის'' ეთერში ვიხილეთ მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტები: ,,ქართული ოცნება'' (რვაჯერ), ,,ნაციონალური მოძრაობა'' (ოთხჯერ), ,,ლელო'' (ორჯერ), ,,დრო'' (ერთხელ), ,,გირჩი - მეტი თავისუბლება'' (ერთხელ), ,,გირჩი'' (ერთხელ), ,,კანონი და სამართალი'' (ერთხელ), ,,მოქალაქეები“ (ერთხელ), საქართველოს მთავრობა (ოთხჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ), აჭარის მთავრობა (ერთხელ).

გადაცემა **,,დღის კურიერი''** ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა, რომლის ფარგლებშიც ჟურნალისტები მიმდინარე აქტუალურ საკითხებს სტუმრებთან ერთად განიხილავდნენ. აღსანიშნავია, რომ მესამე საანგარიშო პერიოდში აქტიურად შუქდებოდა პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები და გადაცემას ხშირად სტუმრობდნენ დარგის ექსპერტები.

გადაცემას ხშირ შემთხვევაში ჩართვით სტუმრობდნენ საარჩევნო სუბიექტებიც, რომლებიც უმეტესწილად მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს განიხილავდნენ.

ჟურნალისტი უმრავლეს შემთხვევაში კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა მიმართ, ცდილობდა ზუსტი ციტირებებითა და წყაროს აღნიშვნით ესაუბრა და სტუმრების მიმართაც იგივე მოთხოვნა ჰქონდა.

მესამე საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა სტუმრის მხრიდან შეურაცხმყოფელი რეპლიკები, რომელიც ჟურნალისტის მიერ დასმულ კრიტიკულ შეკითხვას მოჰყვა: 4 ოქტომბერს ,,ნაციონალური მოძრაობის'' წევრმა განაცხადა: ,,მთელი ეს უღირსი საბჭოთა პროპაგანდა, ზნეობრივ ფსკერზე დასული განცხადებები, რასაც ვისმენთ ღარიბაშვილისგან და ივანიშვილის სხვა უბირი მონების მხრიდან, ემსახურება მხოლოდ იმ შიშს, რომ სააკაშვილისგან არ შეიქმნას ის ფიგურა, რომელსაც ქართული საზოგადოება დაინახავს, როგორც მაღალი ზნეობის პოლიტიკურ ლიდერს''.

29 ოქტომებრს, გადაცემას ცალ-ცალკე სტუმრობნენ თბილისის, საბურთალოს ოლქის მაჟორიტარობის როგორც ოპოზიციური, ისე მმართველი გუნდის კანდიდატები. ჟურნალისტის თქმით, მას სურდა დებატების ფორმატში წარმართულიყო გადაცემა, თუმცა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა უარი განაცხადა.

თოქ-შოუს ,,ღამის კურიერი'' მესამე საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად სტუმრობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი და მიმდინარე აქტუალურ საკითხებს განიხილავდნენ. გადაცემის წამყვანი სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს როგორც მთავრობის, ისე მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მისამართით.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატს ორჯერ ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი საარჩევნო დაპირებები და გეგმები გაეცნო საზოგადოებისთვის, მსგავსი შესაძლებლობა ოპოზიციური პარტიის მერობის კანდიდატს, არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სტუმრის მიერ შეურაცხმყოფელი რეპლიკები, რომელსაც ჟურნალისტის შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია, მაგალითად 13 ოქტომბერს, როდესაც ,,ნაციონალური მოძრაობის'' წევრმა პრემიერ-მინისტრი ,,ყველაზე ამორალურ და სამარცხვინო პერსონაჟად“ მოიხსენია.

გასართობ გადაცემაში **„შაბათის საღამო“** მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში წინასაარჩევნო პოლიტიკური დებატები განთავსებული არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
39%
61%
მესამე ძალა
40%
60%
საქართველოს პრეზიდენტი
30%
70%
ნაციონალური მოძრაობა
79%
21%
საქართველოს მთავრობა
45%
55%
ლელო
58%
42%
გირჩი
40%
60%
გირჩი-მეტი თავისუფლება
67%
33%
გახარია - საქართველოსთვის
81%
19%
ელენე ხოშტარია - დროა
76%
24%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
3%
94%
3%
74%
26%
4%
92%
4%
4%
94%
2%
6%
83%
12%
18%
80%
2%
14%
47%
39%
29%
71%
2%
97%
1%
39%
57%
4%
ელენე ხოშტარია - დღრა
ვახარია - საქართველოსთვის
გირჩი-მეტი თავისუფლება
გირჩი
ლელი
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პრეზიდენტი
მესამე ძალა
ქართული ოცნება



„ტელეკომპანია პირველი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ - 37.6% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 67%), „ნაციონალური მოძრაობა“ – 21.7% (პოზიტიური - 11%, ნეგატიური - 10%), საქართველოს მთავრობა - 20.4% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 53%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - არჩევნების პირველი ტურის შემდეგ „ტვ პირველის“ ლოიალური განწყობები კონკრეტული ოპოზიციური პარტიების მიმართ კიდევ უფრო მკაფიო გახდა.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხელისუფლების აქტივობა მხოლოდ უარყოფით კონტექსტში შუქდებოდა, ზოგიერთი ოფიციალური ვიზიტი კი საერთოდ არ გაშუქებულა. ამის პარალელურად, „ტვ პირველი“ მაყურებელს არწმუნებდა, რომ „ქართული ოცნება“ საერთაშორისო იზოლაციის ზღვარზეა და სახელისუფლებო გუნდთან შეხვედრა ბრიუსელიდან და ვაშინგტონიდან თითქმის აღარავის სურდა.

მაუწყებელი მაყურებელს სთავაზობდა „საიდუმლო/კონფიდენციალურ წყაროზე“ დაყრდნობით მომზადებულ „ექსკლუზიურ“ მასალებს, თუმცა ისინი ხშირად

მტკიცებულებებით გამყარებული არ იყო. მომზადებული „ექსკლუზიური“ რეპორტაჟების თემა რეალურად მხოლოდ ჟურნალისტების ეჭვებსა და ვარაუდებს ეფუძნებოდა. ირაკლი ღარიბაშვილის შესაძლო გათავისუფლების საკითხი არჩევნების პირველ საანგარიშო პერიოდშიც დადგა „ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებების დღის წესრიგში. ამჯერადაც, ჟურნალისტებმა ამბავი მაყურებელს ისე წარუდგინეს, თითქოს „ქართულ ოცნებაში“ საკითხი უკვე გადაწყვეტილია, თუმცა ე.წ. „ექსკლუზივი“ მხოლოდ ჟურნალისტების და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ვარაუდებს ეყრდნობოდა.

7 ოქტომბერი, „პირველები“, (20:18), წამყვანი: „...ნახვამდის! - ირაკლი ღარიბაშვილს თანამდებობას ატოვებინებენ. მეორედ მობრუნებულ პრემიერს ივანიშვილმა პოლიტიკური განაჩენი კიდევ ერთხელ გამოუტანა. პირველების „ექსკლუზიური“ ინფორმაციით, ღარიბაშვილს ოცნების გუნდი აუმხედრდა და არჩევნებში რეგიონების მარცხი არ აპატია. ღარიბაშვილს განაჩენს მეორე ტურის შემდეგ გამოუტანენ, უკვე დასახელდა მისი შემცვლელიც, ის ივანიშვილის კიდევ ერთი ნდობით აღჭურვილი პირი ირაკლი ქარსელაძეა - ინფრასტრუქტურის მოქმედი მინისტრი და ქართუ ბანკის ყოფილი მაღალჩინოსანი. სავარაუდოდ, „წყაროს“ ინფორმაციით, ღარიბაშვილის სახლში გაშვების გადაწყვეტილება მიიღო მან, ვინც ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობაზე ორჯერ დანიშნა...“.

„ტვ პირველზე“ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოვლენების ცალმხრივი და დაუბალანსებელი გაშუქება, ასევე ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტური მოსაზრებების ღიად დაფიქსირება.

18 ოქტომბერი, „პირველები“, (20:32), წამყვანი: „...სკოლები მერხების გარეშე! სავარაუდო დანაშაულებრივი გულგრილობის გამო მოსწავლეები მთავარი სასკოლო ინვენტარის გარეშე დარჩნენ. განათლების სამინისტრომ ჯერ შავ სიაში მყოფ კომპანიას დაუკვეთა სკოლების მერხებით მომარაგება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ კომპანიამ ვალდებულება არ შეასრულა, ჩხენკელის უწყებამ აღმოაჩინა, რომ სასწავლო წლის დაწყებისას 115 სკოლაში მერხები არ იდგა. არადა, განათლების სამინისტროს რომ დოკუმენტაციაში კარგად ჩაეხედა, მიხვდებოდა, რომ კომპანია შავ სიაში იყო და მასთან კონტრაქტის გაფორმება უბრალოდ არ ღირდა. სამინისტროს მიერ დაშვებული შეცდომა დამატებით 2 მლნ გვიჯდება..."

რეპორტაჟში არაერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი განათლების სამინისტროს კორუფციაში ადანაშაულებდა, თუმცა არ იყო წარმოდგენილი განათლების სამინისტროს პოზიცია, რომელიც მის მიმართ გაჩენილ კითხვებს უპასუხებდა. ამის სანაცვლოდ, რეპორტაჟის ავტორმა მაყურებელს დასკვნის სახით საკუთარი პროგნოზი შესთავაზა: "...სამინისტროს უპასუხისმგებლობა ქვეყნის ბიუჯეტს 2 მლნ-ით მეტი უჯდება, ჯამში 5 მლნ. პრემიერმა ფულის დახარჯვაზე თანხმობა უკვე გასცა, ახლა ხელშეკრულებას სასწრაფოდ

გააფორმებენ კონკურსის გარეშე და იმ კომპანიასთან, რომელსაც ვინ იცის რა პრინციპით შეარჩევენ...“.

„ტვ პირველის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში რეპორტაჟების შემაჯამებელ ნაწილში ჟურნალისტების მიერ სუბიექტური შეფასებების დაფიქსირება ნორმად იყო დამკვიდრებული.

არჩევნების მეორე ტურამდე მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვანი დრო საარჩევნო თემატიკას არ ეთმობოდა, ეთერში ძირითადად ურთიერთბრალდებები ისმოდა და მაყურებლისთვის უცნობი დარჩა რა დაპირებებს გასცემდნენ მერობის კანდიდატები არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ან რამდენად შესრულებადი იყო მათ მიერ გაცემული ეს დაპირებები.

19 ოქტომბერი, პირველები, (20:29) წამყვანი: „...პოლიტიკური ცეცხლი ოცნებისა და ენმ-ის მერობის კანდიდატებს შორის მას შემდეგ გაიხსნა, რაც თბილისის ქუჩებში ახალი საარჩევნო ბანერები გამოჩნდა. ნიკა მელია გამარჯვების შემთხვევაში საჯარო სკოლების უფასო საკვებით მომარაგებას, პენსიონერებს პენსიის მომატებას და მასწავლებლებს დანამატებს პირდება. კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე გათვლილი ოპონენტის წინასაარჩევნო დაპირება კალაძეს არ მოეწონა, მალევე ოცნების შტაბში ზიზღის კამპანიის ახალი სერიაც დაგეგმეს - ნიკა მელიას მატყუარა და სასოწარკვეთილი პოლიტიკოსი ეძახეს...“

მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟი ნიკა მელიას და კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირებებს ეხებოდა, მაყურებელმა ვერ მიიღო ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, რაც მას გააზრებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

„ტვ პირველი“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ქართული ოცნების“ აქტივობას პირდაპირ ეთერს არ უთმობდა, თუმცა, გამონაკლისი იყო 27 ოქტომბერს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე გამართული აქცია. „ქართული ოცნების“ აქციას „ტვ პირველი“ მთელი დღის მანძილზე აშუქებდა, დღის ბოლოს კი, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აქციასთან დაკავშირებით მომზადდა არაერთი რეპორტაჟი - „ქართული ოცნება ივანიშვილის გარეშე“, „ფული და სამსახურიდან გაშვების მუქარა-როგორ მოაგროვეს ხალხი?“, „პარალიზებული თბილისი“, „მივდივართ ქორწილში-ოცნების მხარდამჭერები რეგიონებიდან“, რეპორტაჟებში ჟურნალისტი მაყურებელს აცნობდა, რომ აქცია „ქართულმა ოცნებამ“ მოსყიდვითა და დაშინებით გამართა, აქციაზე ჩამოყვანილმა ადამიანებმა კი ისიც არ იცოდნენ რისთვის მოყავდათ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ყველა პოლიტიკური სუბიექტი სამართლიანობის და თანაბარი დროის გამოყენების უფლებით

ვერ სარგებლობდა. გადაცემების უმეტესი დრო „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“, „ევროპული საქართველოს“ და „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ წევრებს ეთმობოდათ.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა „ტვ პირველის“ მკვეთრად უარყოფითი განწყობები ხელისუფლების მიმართ. გადაცემის უმეტეს ნაწილს უთმობდნენ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა მიმართ არხის ლოიალური განწყობები თვალშისაცემია, აძლევდნენ მათ შესაძლებლობას საეთერო დრო გამოეყენებიათ საკუთარი მიზნებისა და გეგმების სასურველი ფორმით წარმოსაჩენად, მათ მიმართ თითქმის არ ისმებოდა კრიტიკული კითხვები. რესპოდენტები პირდაპირ ეთერს ხშირად სწორედ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის იყენებდნენ და ამაში მათ ხელს თავად წამყვანები უწყობდნენ.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგაც მნიშვნელოვანი აქცენტი არ გაკეთებულა გადაცემებში დამოუკიდებელი ექსპერტების და მრავალფეროვანი პოლიტიკური განწყობების მქონე ადამიანების მონაწილეობაზე, რაც მაყურებელს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიუკერძოებელი და მრავალმხრივი შეფასებების, ანალიზისა და პროგნოზების მოსმენის შესაძლებლობას მისცემდა. არხი მოვლენების ძირითადად ცალმხრივ აშუქებდა.

3 ოქტომბერს, არჩევნების მეორე დღეს გადაცემაში **„პოლიტიკური კვირა“** საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, თემა ჩატარებული არჩევნების შეფასება იყო. გადაცემის მსვლელობისას წამყვანები საკუთარ სუბიექტურ შეხედულებებს სთავაზობდნენ მაყურებელს, ღიად გამოხატავდნენ ხელისუფლების მიმართ უარყოფით პოზიციას და ოპოზიციის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდნენ. წამყვანები სრულ თანხმობაში მოდიოდნენ რესპოდენტებთან, ისინი ოპოზიციის წარმომადგენლებს გამარჯვებას ულოცავდნენ. წამყვანი ეკა მიშველაძე ყველა შესაძლებლობას იყენებდა „ქართული ოცნების“ მიმართ ირონიული ტონით გაჯერებული უარყოფითი განცხადებების გასაკეთებლად.

ეკა მიშველაძე (20:47): „...2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თვით ბ-ნი ბიძინა "ერთობ ამღვრეული" გამომეტყველებით ითხოვდა დახმარებას, ოღონდ ამ ერთხელ დამეხმარეთ და მერე მე ვიცი. გუშინ და დღეს დეჟავუ იყო ოღონდ "ჩინური" ბიძინათი, შევთანხმდეთ, რომ კობახიძის, ღარიბაშვილის და კალაძის დაპირებას სავალუტო განზომილებაში მაინც სულ სხვა ფასი აქვს, ვიდრე მაშინ ბიძინა ივანიშვილისას რომ ქონდა....“

5 ოქტომბერს გადაცემაში **„რეაქცია“** მონაწილეობდნენ ანზორ და ნიკა მელიები. გადაცემის მსვლელობისას ინგა გრიგოლია ზუგდიდის კანდიდატის მიმართ არ ფარავდა პირად სიმპათიებს, რაც გადაცემის შინაარსზეც აისახებოდა.

11 ოქტომბერს, გადაცემაში **„პირველი ხაზი“**, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები იყვნენ მიწვეული. გადაცემა მთლიანად მიხეილ

სააკაშვილის მხარდაჭერას ემსახურებოდა და თავად ჟურნალისტის პათოსიც რესპოდენტების განწყობებს ემთხვეოდა. გადაცემის სტუმრების სიმრავლის მიუხედავად, განსხვავებული პოზიციის მქონე რესპოდენტი მათ შორის არ იყო.

აღსანიშნავია **8 ოქტომბრის** გადაცემა **„დიანა ტრაპაიძის დღის ამბები“**, რომელსაც საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სტუმრობდა, თემა კი მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა იყო. ჟურნალისტი გადაცემის მსვლელობისას სვამდა კრიტიკულ კითხვებს, არ ახდენდა გავლენას რესპოდენტზე და ასევე, არ აფიქსირებდა სუბიექტურ განწყობებს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ „ტვ პირველის“ წამყვანები ძირითადად სუბიექტური განწყობებით ქმნიდნენ გადაცემების დღის წესრიგს.

„...მილევად რეჟიმში მყოფი სრულიად გაკოტრებული მმართველი გუნდი" - ასე მოიხსენებდა „ქართულ ოცნებას“ ეკა მიშველაძე, ამის პარალელურად ჟურნალისტმა განსაკუთრებული ოპტიმიზმით წარადგინა "ოპოზიციური ერთობის" გეგმები და მათ ღონისძიებებს პირდაპირ ეთერი არაერთხელ დაუთმო.

20 ოქტომბერი, „საჯარო პოლიტიკა“, (21:53) ეკა მიშველაძე: „...ჩემი პირადი ემოცია მინდა გითხრათ, 50 წუთია ვუყურებ და მივხვდი, რომ ძალიან გახარებული ვარ, ძალიან მომწონს, ძალიან კარგი იდეაა და ეს მართლაც ის არის, რაც გადაარჩენს ამ ქვეყანას, აი ასეთი ერთობა, ასეთი კოალიცია, განსხვავებული ადამიანები, განსხვავებული პარტიული ლიდერები, რომლებიც ერთად ჩაუდგებიან საქმეს სათავეში - თბილისის აღორძინებას და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისიდან დაიწყება ეს ყველაფერი და შემდეგ გადაედება მთელს საქართველოს...“.

არჩევნების მეორე ტურის წინ ჟურნალისტებმა ოპოზიციის მხარდამჭერი განცხადებები ღია ეთერში არაერთხელ გააკეთეს.

28 ოქტომბერი, გადაცემა „რეაქცია“, ინგა გრიგოლია: „...მე მივდივარ არჩევნებზე და ხმას ვაძლევ კოალიციას, რომელიც ამ ქვეყნის განვითარების და გადარჩენის ერთადერთ გამოსავლად მესახება...“ (21:04) „...მაყურებელს მინდა მივმართო - არავინ მოგატყუოთ, რომ რაღაც ერთი პარტიის რეინკარნაციის მცდელობაა ეხლა, ამ არჩევნებზე. არა! თუ ამ არჩევნებზე ოპოზიციამ მოახერხა, რომ „ქართული ოცნების“ დროშა "დაეშვას" ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით, მერე ეს იქნება იმის დასაწყისი, რომ მთელ ქვეყანაში ჩვენ მივიღებთ მრავალპარტიულ მმართველობას...“ **(22:50).**

საერთო ჯამში, „ტვ პირველის“ გადაცემები იყო მიკერძოებული და დაუბალანსებელი, თავად წამყვანები ოპოზიციის წარმომადგენლებს აძლევდნენ სრულ თავისუფლებას ეთერი

გამოეყენებინათ ხელისუფლების კრიტიკისთვის და მისი შეცვლის აუცილებლობაზე ესაუბრათ. რესპოდენტებისა და წამყვანების პათოსი ძირითად შემთხვევაში სრულ თანხვედრაში იყო.

ნოდარ მელაძის შაბათის ეთერი გასული რეპორტაჟები არჩევნების მეორე ტურის პერიოდშიც, კვლავ ძირითადად ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იყო მომზადებული. გადაცემები ემსახურებოდა „ქართული ოცნების“ და კრიმინალური სამყაროს კავშირების „მხილებას“, ასევე არჩევნების „უკანონო მოგების ჯაჭვში“ სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობს გამოაშკარავებას. 23 ოქტომბერს მომზადებული რეპორტაჟებში „ტვ პირველის“ ჟურნალისტები ქართულ ოცნებას „არჩევნების გაყალბების ინიციატორად“ და „ხმების ქურდებად“ მოიხსენიებდნენ, მტკიცებულებად კი მათივე ინფორმაციით „ქართული ოცნებიდან“ „გამოჟონილ“ დოკუმენტებს იყენებდნენ, რომლებიც სავარაუდოდ 2018 წლის პერიოდს ეხებოდა და რომელთა ავთენტურობა დაუდგენელია. ამის პარალელურად, „ნოდარ მელაძის შაბათი“ აქტიურად უთმობდა ეთერს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებს მოსახლეობასთან.

30 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, „ტვ პირველი“ მაყურებელს უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. ჟურნალისტები მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას დარღვევების შესახებ. გადაიცემოდა დაპირისპირების ამსახველი კადრები, ასევე მაყურებელს ქონდა შესაძლებლობა თვალი ედევნებინა პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ბრიფინგებისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი თავად ჟურნალისტებს უპირისპირდებოდნენ. ჟურნალისტები ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ, ასევე, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა არჩევნების გასაყალბებლად ხელისუფლებასა და ქურდული სამყაროს თანამშრომლობაზე, თუმცა ამის მტკიცებულებები მაყურებლისთვის არ უჩვენებიათ.

ჟურნალისტი: "...დილიდან დაძაბული ვითარებაა რუსთავში, აქ ყველა საარჩევნო უბანზე მობილიზებაა ყოფილი ნასამართლეობის მქონე ადამიანების, ასევე ყოფილი პრობაციონერების, ადგილობრივი შავი ბიჭების, ისინი ცდილობენ ადგილობრივ ამომრჩეველზე იქონიონ გარკვეული ზეწოლები...“.

ნებისმიერი დარღვევას „ტვ პირველის“ ჟურნალისტები უაპელაციოდ, მტკიცებულებების გარეშე „ქართულ ოცნებას“ მიაწერდნენ.

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებული იყო საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„დღის ამბები“, „რეაქცია“, „საჯარო პოლიტიკა“, „პოლიტიკური კვირა“, „პოლიტიკური ამბები“, „პირველი ხაზი“** და **„ნოდარ მელაძის შაბათი“** .

გადაცემაში **„საჯარო პოლიტიკა“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (შვიდჯერ), „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), „ლელო“ (ხუთჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „პროგრესი და საქართველო“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (სამჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია - დროა“(ორჯერ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„რეაქცია“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (შვიდჯერ), „ლელო“ (ოთხჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ) და „ელენე ხოშტარია - დროა“(ერთხელ).

გადაცემაში **„პოლიტიკური კვირა“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (სამჯერ), „ტრიბუნა (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ) და „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„პოლიტიკური ამბები“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია - დროა“(ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ერთხელ) და „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„დღის ამბები“** ეთერში დღის მანძილზე რამდენჯერმე გადიოდა. გადაცემას სტუმრობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამოცდახუთჯერ) და „ევროპული საქართველო“ (ცხრამეტჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (სამჯერ), „ლელო“ (ორმოცდაორჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (სამჯერ), „გირჩი“ (სამჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ექვსჯერ), „კანონი და სამართალი“ (ხუთჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ექვსჯერ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ათჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ხუთჯერ), „გახარია - საქართველოსთვის“ (ოცდაერთჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (ცხრაჯერ), „კონსერვატიული პარტია“ (ოთხჯერ), „ტრიბუნა“ (ორჯერ), „პროგრესი და თავისუფლება“ (ორჯერ), „ემსახურე საქართველოს“ (რვაჯერ) და დამოუკიდებელი კანდიდატი თამაზ მეჭიაური (ერთხელ).

გადაცემაში **„პირველი ხაზი“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (თექვსმეტჯერ), „ევროპული საქართველო“ (ექვსჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (შვიდჯერ), „გირჩი - მეტი თავისუფლებისთვის“ (ერთხელ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „მოქალაქეები“, „მესამე ძალა“ (ერთხელ), „გახარია -

საქართველოსთვის“ (ორჯერ), „ელენე ხოშტარია - დროა“ (ერთხელ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ორჯერ).

გადაცემაში **„პირველამდე“** მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ და „ლელო“ (მოწვეული იყო როგორც მწერალი)

გადაცემაში **„საქმიანი დილა - ანალიტიკა“** მონაწილეობდნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ) და „გახარია - საქართველოსთვის“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
82%
18%
ნაციონალური მოძრაობა
58%
42%
საქართველოს მთავრობა
84%
16%
ლელო
49%
51%
ევროპული საქართველო
25%
75%
საქართველოს პრეზიდენტი
87%
13%
ელენე ხოშტარია - დროა
47%
53%
ადგილობრივი მთავრობა
86%
14%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
49%
51%
6%
92%
2%
77%
23%
4%
95%
2%
2%
91%
7%
2%
45%
53%
11%
80%
10%
2%
30%
67%
ადგილობრივი მთავრობა
ელენე ხომასურია - დრო
საქართველოს პრეზიდენტი
ევროპული საქართველო
ოელი
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
6%
2%
51%
23%
2%
7%
2%
53%
11%
10%
2%
67%
ადგილობრივი მთავრობა
ელენე ხოშტარია - დრო
საქართველოს პრეზიდენტი
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება


გენდერი
26%
74%
ქალი
კაცი

„მთავარი არხი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ნაციონალური მოძრაობა“ – 37.4% (პოზიტიური - 15%, ნეგატიური - 1%), „ქართული ოცნება“ – 21.9% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 78%), საქართველოს მთავრობა - 13.8% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 69%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში **“მთავარი არხი“** მკვეთრად მიკერძოებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“, „ევროპული საქართველოს“ და „ელენე ხოშტარია-დროას“ მიმართ. არხი გადაცემებში და საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ამ პარტიების წარმომადგენლების კომენტარებს ეთმობოდა დრო. გამორჩეულად დიდი დრო კი „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მერობის კანდიდატს დაეთმო. საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები და წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებს მმართველი პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლების მიმართ.

ანალოგიური ვითარება იყო პოლიტიკურ თოქ-შოუებში და საავტორო გადაცემებში, სადაც წამყვანები თითქმის ყველაფერში ეთანხმებოდნენ რესპოდენტებს, რომლებიც ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არა წამყვანი და რესპოდენტი, არამედ თანამოაზრეები საუბრობდნენ. ხშირი იყო შეურაცხმყოფელი ლექსიკა, ასევე გვხვდებოდა სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებიც წამყვანის მხრიდან.

არხზე ხშირად გადიოდა ცალმხრივი და დაუბალანსებელი სიუჟეტები, ასევე ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები ძირითადად მთავრობის და „ქართული ოცნების“ მისამართით. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში „ქართული ოცნების“ არცერთი წარმომადგენლის წინასაარჩევნო შეხვედრა არ გაშუქებულა.

არხი მმართველი ძალისა და მთავრობის მიმართ არ იშურებდა შეურაცხმყოფელ ეპითეტებს: 07.10 “ივანიშვილის რეჟიმის პირადი პატიმარი“ 21:09, 05.10 „ივანიშვილის საპარლამენტო კლანი“ 21:18, 22.10 “გაკოტრებული პოლიტიკური გუნდი“ 21:13, 14.10 „ოლიგარქის ავტორიტარული რეჟიმი“ 21:47, 11:10 „მთავრობის მეთაური, რომელიც „ქართული ოცნების“ ტროლ-ბოტების სტილში ჭორაობს“ - 21:24.

საანგარიშო პერიოდში **„მთავარ არხზე“** დაუბალანსებელი და ცალმხრივი სიუჟეტების სიმრავლე იყო: 11.10 “პასუხი ირაკლი ღარიბაშვილს“ 21:24, 15.10 „ევროპარლამენტის განცხადებაზე გამოხმაურება“ 21:35, 18.10 “აშშ-ს თავდაცვის მდივნის ვიზიტი“ 21:27, 20.10 „ევროპარლამენტარების ახალი წერილი“ 22:00, 21.10 “კოალიციური მმართველობის პირველი

შანსი“ 21:20, 21.10 “დაპირისპირება ევროპასთან“ 21:28, 22.10 “ოცნების წინასაარჩევნო ღვარძლი“ 21:13, 27.10 “კახი კალაძის დაპირებები“ - 23:45.

21 ოქტომბერს „მთავარ არხზე“გავიდა 65 წუთიანი დოკუმენტური ფილმი "რა დაგვაკლო კალაძემ?". დოკუმენტური ფილმში კახი კალაძის მერობის პერიოდი სრულად ნეგატიურ კონტექსტში იყო გაშუქებული, იყო ცალმხრივი და ირონიით გაჯერებული.

23:06. 07.10-ში არხმა დრო დაუთმო მიხეილ სააკაშვილის შესახებ შექმნილ ფილმს, რომელიც ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მის პოლიტიკურ საქმიანობას ეძღვნებოდა და მესამე პრეზიდენტის და „ნაციონალური მოძრაობის“ დადებით კონტექსტში წარმოჩენას ისახავდა მიზნად, ფილმი 80 წუთი გრძელდებოდა - 22:10.

საანგარიშო პერიოდში „**მთავარი არხის“** წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ სიმპათიებს ოპოზიციის და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ერთერთმა მათგანმა ყოფილ პრეზიდენტს წერილი მისწერა, რომელიც შემდგომ ღია ეთერში წაიკითხა. 13.10 „ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილთან“ თეა ადეიშვილის წერილი მიხეილ სააკაშვილს: "გამარჯობა ბატონო პრეზიდენტო, გადავწყვიტე ისევ მიშა დაგიძახოთ. საქართველოში ალბათ იცით, რომ მხოლოდ დიდ მოღვაწეებს მოიხსენიებენ სახელით და ეს ფამილარობა კი არ არის, არამედ სამუდამო აღიარების და სიყვარულის დადასტურებაა" - 21:11.

„მთავარ არხზე“ გადაუმოწმებელი და ფაქტებს მოკლებული ბრალდებებიც ისმოდა. 27.10 „შავი ფული ოცნების სალაროში“ სიუჟეტში საუბარი იყო „ქართული ოცნების“ დაფინანსების „თაღლითურ“ სქემაზე, რომელიც „მთავარმა არხმა“ გაშიფრა. საუბარია უკანონო ბიზნესზე ე.წ. „ქოლცენტრებზე“. წამყვანი აცხადებდა, რომ ამ ბიზნესს ქვეყანაში სახელისუფლებო ვერტიკალი მფარველობს წილებს კი „ოცნების“ გავლენიანი ლიდერები ინაწილებენ. ნიკა გვარამია ჩართვაში ფულის მოპარვის პირამიდაზე საუბრობდა, კერძოდ, ამბობდა რომ მთავრობა და „ოცნება“ ფულს იპარავს ბიუჯეტიდან და არიცხინებს ე.წ.“ატკატების“ სახითაც, უკანონო საქმიანობით „ოცნება“ 60 მილიონ დოლარს შოულობს ყოველთვიურად და ამ ფულით ფინანსდება პარტია და წინასაარჩევნო კამპანია. მან დაასახელა უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების სახელები და გვარები და ისინი კრიმინალში დაადანაშაულა. ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ ფულის შოვნის თაღლითურ სქემაზე უცხოური მედიაც წერდა. ამ თემას არხმა 17 წუთი დაუთმო, მასში ისმოდა მხოლოდ ბრალდებები და არ იყო წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, ბრალდების ადრესატს არ ჰქონდა საპასუხო განცხადების გაკეთების საშუალება - 23:21.

30.10. “არჩევნები 2021“- ის წამყვანები ცესკოში გამართული ბრიფინგის დასრულების შემდეგ საუბრობდნენ, რომ ცესკო პირველადი შედეგების გამოქვეყნებას აგვიანებდა, რადგან მიმდინარეობდა ხმების გაყალბების პროცესი. მათ თავისი სიტყვების დამადასტურებელი

ფაქტები არ მოუყვანიათ. „დიანა ჯოჯუა - უნდა ავღნიშნო, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში როგორც წესი ძალიან დიდი დრო ჭირდება ხოლმე.... პაატა იაკობაშვილი - დიდი დრო ჭირდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად ცესკო ვერ გაექცევა იმას, რომ მალე გამოაქვეყნოს. მეორე ტური შედარებით მცირე რაოდენობის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა...“ დიანა ჯოჯუა - „თუმცა ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ხდება ხოლმე მანიპულაციები, გიორგი კალანდარიშვილს არ სცალია, ამ დროს ხდება ხოლმე მონაცემების შეცვლა და გაყალბება". 21:37.

საანგარიშო პერიოდში „მთავარ არხზე“ საინფორმაციო გამოშვებაში „მთავარი 9“-ზე არცერთხელ არ გაშუქებულა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრები. არხის საეთერო დრო მხოლოდ მთავრობის და „ქართული ოცნების“ კრიტიკას ეთმობოდა. არ შუქდებოდა ქვეყნის უმაღლესი პირების მნიშვნელოვანი ვიზიტები ან მათი შეხვედრები.

წინასაარჩევნო პერიოდი დატვირთული იყო კოალიციის შექმნის და მათი რეგიონებში წარდგენების პირდაპირი ჩართვებით. 20.10 „კოალიციური გუნდის წარდგენა“ 53 წუთი - 21:01, 25.10 „ქუთაისის კოალიციური მთავრობა“ 39 წუთი - 21:24, 27.10 “ოპოზიციის წარდგენა ზუგდიდში“ 26 წუთი - 21:01, 29.10 “კოალიციის შემაჯამებელი მიმართვა“ 48 წუთი - 21:20, 09.10 “აქცია ზუგდიდში“ 21 წუთი - 20:38, 23.10 არხმა პირდაპირ ეთერში გააშუქა აქცია ზუგდიდში “ერთად თავისუფლებისთვის - ერთად ცვლილებებისთვის“, რომელსაც 69 წუთი დაეთმო.

30 ოქტომბერს არჩევნების დღეს „მთავარი არხი“ დილის 08:00-დან უწყვეტ რეჟიმში მაუწყებლობდა და საქართველოს რეგიონებსა თუ დიდ ქალაქებში აშუქებდა საარჩევნო პროცესს. არხი მხოლოდ სავარაუდო დარღვევებზე საუბრობდა, რომელშიც ბრალს „ქართულ ოცნებას“ სდებდა. დღის განმავლობაში შუქდებოდა ცესკოს ბრიფინგები და საარჩევნო შტაბებში გაკეთებული განცხადებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული დარღვევები და ხმის მიცემის პროცესი.

საზოგადოებრივი-პოლიტიკური პროგრამები - გადაცემა **„დღის სტუმარი“** კვირაში ხუთი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ გადის ეთერში. გადაცემაში აქტუალური თემის ირგვლივ მოწვეული სტუმრები საუბრობდნენ, რომლებიც ან ოპოზიციის წარმომადგენლები, ან საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები არიან.

12.10 - წამყვანი მიკერძოებული იყო და დაუსაბუთებელი ბრალდებებით გამოდიოდა მმართველი ძალის მისამართით: „ქართული ოცნება“ ცდილობს ოპოზიციას გამარჯვება მოპაროს ქვეყნის იმ დიდ ქალაქებში, სადაც საკრებულოებში უმრავლესობა ოპოზიციამ უკვე მოიპოვა. საოლქო კომისიების დახმარებით მმართველი პარტია ბოლო რამდენიმე დღეა აქტიურად მუშაობს შედეგები გადაწეროს და დამარცხებული კანდიდატები გამარჯვებულად გამოაცხადოს" - 19:59.

18.10 - წამყვანი მიკერძოებული იყო და არ მალავდა სიმპათიებს რესპოდენტის მიმართ, ის ასე დაემშვიდობა ხატია დეკანოიძეს: „დიდი მადლობა, ხატია გისურვებთ წარმატებებს, რადგან ეს მეორე ტური მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თქვენთვის და ქუთაისისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის, მიხეილ სააკაშვილის თავისუფლებისთვის და ამ ქვეყნის ბრძოლისთვის, უკეთესი საქართველოსთვის. მადლობა და წარმატებები კიდევ ერთხელ“ - 19:54.

22.10 გადაცემაში გიგი უგულავა საუბრობდა პრემიერის სიძულვილის ენაზე და გმობდა ამ ფაქტს, მაგრამ გადაცემაში თავად იყენებდა შეურაცხმყოფელ ლექსიკას პრემიერის მისამართით. წამყვანი კი მის ლექსიკაზე არ რეაგირებდა და მას კორექტულობისკენ არ მოუწოდებდა - „აქ ასეთი ხუმრობა წარმოიშვა სამეგრელოში ღარიბაშვილის ამ ორდღიან ვოიაჟთან დაკავშირებით, რომ ჯერ „ქართულმა ოცნება“ სამეგრელოში გოჭები გაწყვიტა, სამეგრელოში როგორც მოგეხსენებათ ბევრი გოჭი დაარიგეს და ახლა საქადაგებლად ვირი ჩამოუშვეს, ღარიბაშვილზეა საუბარი. ამ ადამიანზე სერიოზულად საუბარი როგორ შეიძლება, ამ ადამიანმა ცოფიანი ძაღლივით დაირბინა მთელი სამეგრელო, ბოდიში და ძაღლი რომ მონიშნავს მიაფსავს, ასე შხამი გამოუშვა ყველა რაიონში და წავიდა“ - 19:13. შემდეგ კი აგრძელებს: „ღარიბაშვილს თუ რამე პლიუსი გააჩნია არის ის, რომ ის იმდენად სტერილურია მას თავისი არც ემოცია გააჩნია და არც აზრი გააჩნია. ის არის დაქოქილი სათამაშო, ახლა დაქოქა ივანიშვილმა და გამოუშვა ეს თოჯინა ტურნეში სამეგრელოში და აქაც ავი ძაღლივით იყეფა და ბოლოში წავიდა“ - 19:22. ისევ უგულავა: „რუსეთში ოპოზიციამ ასეთი გამოთქმა მოიგონა სახელისუფლებო მედიის მიმართ, რომ პროპაგანდისტებს კი არა პროპაგანდონებს ეძახის, ჩვენ ახლა პირდაპირ პრემიერ -მინისტრი გვყავს პროპაგანდონი, იმიტომ, რომ რასაც ლაპარაკობს მხოლოდ პროპაგანდისთვის ლაპარაკობს, იმის უკან არც სიმართლეა, არც ფაქტების სიზუსტეა, ოღონდ ჩირქი მოსცხოს ვიღაცას“ - 19:24.

გადაცემა **„დღის სტუმარს“** სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „ნაციონალური მოძრაობა“ (ორმოცდაექვსჯერ), „ლელო“ (ათჯერ), „ევროპული საქართველო“ (თერთმეტჯერ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ექვსჯერ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ცხრაჯერ), „კანონი და სამართალი“ (ერთხელ), „მესამე ძალა“ (ოთხჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ორჯერ), „დავით ჭიჭინაძე-ტრიბუნა“(სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), დამოუკიდებელი დეპუტატი-თამარ კორძაია (ოთხჯერ), დამოუკიდებელი დეპუტატი-სალომე სამადაშვილი (ხუთჯერ), პ.პ.“სამართლიანობისთვის“ (ერთხელ).დამოუკიდებელი დეპუტატი-დავით ბაქრაძე(ერთხელ), „ემსახურე საქართველოს“(ერთხელ).

გადაცემა **„მთავარი აქცენტები“** კვირაში ერთხელ გადიოდა ეთერში. წამყვანს სტუდიაში მოწვეული ყავდა მხოლოდ ოპოზიცია და იმ დროისთვის არსებული აქტუალური თემის გარშემო მსჯელობდნენ. გადაცემა მიკერძოებული იყო ოპოზიციის მიმართ და წამყვანიც და

რესპოდენტებიც მხოლოდ „ქართული ოცნების“ კრიტიკით იყვნენ დაკავებულები. გადაცემაში ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებებიც.

17.10 - გადაცემის წამყვანის შესავალი ტექსტის პირველი ნაწილი მოსაყდრე შიოს კრიტიკას ეძღვნებოდა. წამყვანი არ ერიდებოდა პიროვნულ შეურაცხყოფებს მისი მისამართით. წამყვანი მეუფეს რუსეთის უშიშროების აგენტს ეძახდა, მაგრამ მისი სიტყვების დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი.

23:01 "ისმის კითხვა რას აკეთებდა იგი ზაგორსკში (საუბრობს მეუფე შიოზე) რუსეთში, როცა იქ სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, რასაც აკეთებენ სხვები, ზარგორსკის აკადემია არის რუსეთის უშიშროების რეკრუტირების ცენტრი, იქ არ იღებენ განათლებას, იქ ადგილს იკავებენ რუსეთის უშიშროების კართოთეკაში. ამ კაცს, რომელსაც შიო ქვია ადგილი აქვს დათმობილი რუსული უშიშროების კართოთეკაში, მაგრამ ეს ადგილი მხოლოდ მისი თანამშრომლობის წერილით არ შემოიფარგლება. იმ კართოთეკაში ბევრი საინტერესო დოკუმენტი და ვიდეოფაილია, რომელიც ამ ადამიანს აიძულებს, რომ თავის თავი აღარ ეკუთვნოდეს და ილაპარაკოს ის სისაძაგლე, რაც ახლა ჩვენ მოვისმინეთ, იყოს ქვეყნის მტერი, მისი თავისუფლების მტერი და რუსი ეგზარქოსი პავლე 21-ე საუკუნეში“.

24.10 - წამყვანი ღიად უჭერდა მხარს „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატებს: 23:13:35 „სენაკში ჩაწერილიც რომ ვიყო და აქ ვცხოვრობდე, წავალ და კობა ნაყოფიას მივცემდი ხმას. ჩემი მეგობარი, ძალიან შემოქმედებითი კაცი და რაც მთავარია სიტყვის კაცი. მე მგონია, რომ სენაკს ასეთი მერი არ ყოლია“.

24.10 - წამყვანი გადაცემაში საუბრობდა, რომ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ციხის სავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში იგეგმება მესამე პრეზიდენტის ლიკვიდაცია, რომლის გეგმა უკვე შემუშავებულია, მაგრამ მისი მოსაზრებები გადაცემაში არაფრით დადასტურებულა. წამყვანმა პრემიერს პიროვნული შეურაცხყოფაც მიაყენა. -23:44 – „ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ იმიტირებული ბუნტი მოეწყობა ამ სავადმყოფოში და როგორ დასრულდება ჩვენთვის არ უნდა იყოს რთული წარმოსადგენი. როგორც მე დღეს ავღნიშნე ერთი ცნობით ოთხი, მეორე ცნობით ექვსი სპეცდანიშნულების ბრჭყალებში პატიმარი ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არის შეყვანილი ციხის საავადმყოფოში და ამზადებენ ამ სპეცოპერაციას, ეს ამბავი არ გამოვა მეგობრებო და არც ციხის სავადმყოფოში გადაყვანა არ მოხდება, ისეთ სისულელეს და აბსურდს რასაც ღარიბაშვილი ლაპარაკობს, რომ სამოქალაქო კლინიკაში შეიჭრება ვინმე და გამოიტაცებს სააკაშვილს, მსგავსი ბოდვა უბრალოდ არასერიოზული შიზოიდური მიდრეკილებების ადამიანს შეიძლება დაებადოს თავში“. გადაცემაში იყო ინტერაქტივი ირონიული კითხვით "ვინ უარესია მეუფე სტეფანე თუ ირაკლი ღარიბაშვილი?"

გადაცემა **„მთავარი აქცენტებს“** სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „რესპუბლიკური პარტია“ (ერთხელ), “გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ორჯერ), „ლელო“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ).

მთავარ არხზე კვირაში ერთხელ ეთერში გადაცემა **„მთავარი დებატები“** გადიოდა. გადაცემას კლასიკური დებატების ფორმატი არ აქვს, საანგარიშო პერიოდში დებატები არხზე არ გამართულა, მთელი თვის განმავლობაში გადაცემაში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იყვნენ მოწვეული.

4 ოქტომბერს გასულ გადაცემაში წამყვანი შეურაცხმყოფელი ლექსიკით და სიძულვილის ენის გამოყენებით გამოირჩეოდა პარლამენტის თავმჯდომარის, იუსტიციის და კულტურის მინისტრების მიმართ - 22:29, ნიკა გვარამია: „კუჭავას, გულწრფელად გეტყვით, მირჩევნია კობახიძე, რომელიც ღიად გეუბნება, რომ ტერორისტია და ღიად აკეთებს იმას, რასაც აკეთებს (თამარ ბაღაშვილი: რომ ეზიზღება ყველა) კუჭავა არის ღობეს ჩხირი მართლა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ღობეს ჩხირი, რომელიც ერთი ხელით ევროკავშირის დროშას წევს, მეორე ხელით გამყალბებლებს ახალისებს, კანონს არღვევს თვითონ“.

22:32 ნიკა გვარამია: „თეა წულუკიანი - ადამიანი, რომელიც არის ავად, რომელიც არ არის ჯანსაღი. პირდაპირ გეუბნებით მე არ მინდა ფსიქიურ დაავადებებზე ვილაპარაკო კნინობითში, მაგრამ ეს არის მანიაკალურად შერყეული ადამიანი, პირდაპირ გეუბნებით."

გადაცემა **„მთავარი დებატებში“** დრო დაეთმო „ნაციონალური მოძრაობას“ (ხუთჯერ).

გადაცემა **„მთავარი შაბათს“** ყოველკვირეული შემაჯამებელი გადაცემაა. გადაცემის წამყვანი მიკერძოებული იყო ოპოზიციის მიმართ, ისმოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკა მთავრობის და მმართველი ძალის მიმართ, ასევე ეთერში გადიოდა გადაუმოწმებელი ინფორმაციაც.

09 ოქტომბერს გასულ გადაცემაში წამყვანი ზუგდიდში მიმდინარე ოპოზიციის აქციის კომენტირებისას მიკერძოებული იყო გამონათქვამებში. 21:02 – „მმართველი პოლიტიკური ძალის მოთხოვნით ითვლიან იმ უბნებს, სადაც „ქართული ოცნება“ აგებს და მთელი რიგი მანიპულაციებით ცდილობენ ხელოვნური გამარჯვება მოაპოვებინონ გუნდს, იმ პარტიას, რომლისთვისაც საკმარისი არ აღმოჩნდა არც დაშინების, დაშანტაჟების, მოსყიდვის, ამომრჩეველზე ზეწოლის ის ტოტალური ფორმები, რომელსაც ჩვენ სამწუხაროდ 2 ოქტომბრის არჩევნებზე ვხედავდით“.

23 ოქტომბრის გადაცემაში (21:01) გავიდა სიუჟეტი: „წინასაარჩევნო რეპრესიები“, სადაც წამყვანი ამბობდა, რომ პოლიციელების მიმართ, რომლებიც ღიად გამოხატავდნენ ოპოზიციურ განწყობებს, ხელისუფლება რეპრესიებს ახორციელებდა. წამყვანის თქმით,

ოპოზიციურად განწყობილი პოლიციელისთვის იარაღის ჩადების ბრძანება უშუალოდ შსს-ს მინისტრის მოადგილემ შალვა ბედოიძემ გასცა. სიუჟეტში ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში აცხადებდა, რომ მათი ინფორმაციით ხელისუფლებას სცენარი უკვე დაწერილი ჰქონდა, სამეგრელოში იარაღის საწყობს აღმოაჩენდნენ და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის იმ ადამიანებს დააკავებდნენ, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ ღიად უპირისპირდებოდნენ. ორივე ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ სიუჟეტში არცერთი ამ ფაქტის მტკიცებულება მოყვანილი არ იყო. რეპორტაჟში წარმოდგენილი იყო ინტერვიუ პოლიციელთან, რომელმაც, სიუჟეტის ავტორის განცხადებით, მოიძია გაუფორმებელი იარაღი, თუმცა სიუჟეტში პოლიციელმა საერთოდ უარყო ასეთი ფაქტის არსებობა. სიუჟეტის ავტორი მხოლოდ უცნობ წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

გადაცემა **„მთავარი შაბათს“** სიუჟეტებში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ორჯერ), “ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (სამჯერ), „საქართველოს მთავრობა“ (სამჯერ), „გახარია-საქართველოსთვის“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „ლელო“ (ორჯერ), აჭარის მთავრობა (ერთხელ).

გადაცემა **„პოსტ ფაქტუმი“** კვირაში ერთხელ გადის „მთავარი არხის“ ეთერში. გადაცემაში ძირითადად საარჩევნო თემატიკაზე კვირის შემაჯამებელი სიუჟეტები გადიოდა. წამყვანი სიმპათიებს არ მალავდა ოპოზიციის მისამართით და მიკერძოებული იყო გამონათქვამებში, ასევე, მოუწოდებდა მაყურებელს, რომ მათ ხმა ოპოზიციური კანდიდატებისთვის მიეცათ.

17 ოქტომბერს გასულ გადაცემაში წამყვანი მიმართავს მოშიმშილე მესამე პრეზიდენტს: 05:37 – „შემიძლია მე მას ვუთხრა გაჩერდი, საკმარისია აღარ გინდა მეთქი (საუბრობს მიხეილ სააკაშვილზე) არა მე ვერ ვეტყვი, პირიქით თანადგომას ვუცხადებ, ვამართლებ ამ საქციელს, გამძლეობას ვუსურვებ, რომ შეძლოს და მართლა ბოლომდე ღირსეულად მიიყვანოს დაწყებული საქმე და აღარავის მისცეს იმის საბაბიც კი, რომ მას სიტყვის გამტეხი, გადამგდები ან მშიშარა პრეზიდენტი დაუძახონ".

24 ოქტომბერს გასულ გადაცემაში - წამყვანი პრაქტიკულად მოუწოდებდა მაყურებელს თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა: 21:03 – „გამძლეობას, ჯანმრთელობას და თავისუფლებას ვუსურვებ რა თქმა უნდა საქართველოს მესამე პრეზიდენტს, იმედი მაქვს, რომ ქართული საზოგადოება არ შეირცხვენს თავს და კიდევ ერთ პრეზიდენტს არ მიიყვანს სიკვდილამდე. ჩვენ შეგვიძლია შევწყვიტოთ სააკაშვილის შიმშილობა და პატიმრობა 30 ოქტომბერს ოპოზიციისთვის ხმის მიცემით და ოპოზიციის გამარჯვებით“. 23:12 – „კობა ნაყოფიამ პირველ ტურში აჯობა თავის

კონკურენტს „ქართული ოცნებიდან“, მე იგივე წარმატებას ვუსურვებ მას მეორე ტურშიც, ეს არის მხოლოდ საჭირო, ამისთვის თქვენ უნდა მიხვიდეთ და მისცეთ მას ხმა“.

გადაცემა **„პოსტ ფაქტუმის“** სიუჟეტებში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), „ლელო“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ოთხჯერ), „მესამე ძალა“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „გახარია-საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ოთხჯერ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ორჯერ), „საქართველოს მთავრობა (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), ანა დოლიძე-„ მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), “დემოკრატიული მოძრაობა“(ორჯერ),“რესპუბლიკური პარტია“(ერთხელ).

გადაცემა **„ღამის მთავარი“** კვირაში ერთხელ გადის ეთერში. პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანი ღიად მოუწოდებდა მაყურებელს 14 ოქტომბერს ოპოზიციის აქციაზე მისვლისკენ. გადაცემაში ისმოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკაც წამყვანის და რესპოდენტების მხრიდან.

5 ოქტომბერს გასულ გადაცემაში სტუმარი (ნონა მამულაშვილი) - პიროვნული შეურაცხყოფებით გამოირჩეოდა პრემიერ-მინისტრის მიმართ: 23:11 – „ის არ ლაპარაკობს ქართველ ხალხთან, ის ლაპარაკობს ბიძინა ივანიშვილთან (საუბრობს ირაკლი ღარიბაშვილზე) მონაა მთლიანად თავისი არსებით და ზუსტად როგორც მონა ისე იქცევა, პირდაპირ ეთერში ბიძინა ივანიშვილს ეუბნება, რომ მე ჩემო ბატონო შევასრულე სულ ყველაფერი იმისათვის, რომ შენ დამიფასო და თავზე ხელი გადამისვა. ამ ადამიანს არანაირი სხვა პოლიტიკური არსი არ აქვს, ეს არის არსებით მონა“.

გადაცემა **„ღამის მთავარში“** შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს დაეთმო საეთერო დრო: „გახარია-საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობა“ (სამჯერ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ)-ჩართვაში,“ ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ).

„თავისუფლების მონიტორი“ დოკუმენტური ფილმის ფორმატის ჟურნალისტური გამოძიებაა, „რადიო თავისუფლების“ და „სტუდია მონიტორის“ ერთობლივი ნამუშევარია და „მთავარ არხზე“ გადის. ფაქტები, რომლებიც გადაცემებში იყო წარმოდგენილი გამყარებული იყო დოკუმენტურად. ყველა ბრალდების ადრესატთან ჩაწერილი იყო ინტერვიუები და მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცათ. ჟურნალისტი ცალკე აღნიშნავდა გადაცემაში იმ რესპოდენტებს, რომლებმაც უარი თქვეს ინტერვიუზე.

გადაცემა **„თქვენი ხმა“** შემდეგ პოლიტიკური სუბიექტებს უთმობდა დროს: “გახარია-საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ორჯერ), „ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ), „ელენე ხოშტარია- დროა“ (ერთხელ)“ევროპული საქართველო“ (ერთხელ).

„მთავარი მსოფლიოში“- გადაცემაში განიხილებოდა მსოფლიოში არსებული პრობლემები და საქართველოს საკითხი არსებული თემის ჭრილში. გადაცემაში იყვნენ მოწვეული სტუმრები, გადაცემის თანაწამყვანები ყოველ გადაცემაში იცვლებოდნენ. საანგარიშო პერიოდში გადაცემა ორჯერ გავიდა ეთერში.

გადაცემას **„მთავარი მსოფლიოში“** სტუმრობდნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები: “ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ).

„მთავარ არხზე“ გადიოდა ორი გადაცემა **„მთავარი დიაგნოზი“** და **„ლიტერატურული სამკუთხედი“** რომელთა წამყვანები პოლიტიკური პარტიის წევრები არიან („გირჩი-მეტი თავისუფლება“, „ნაციონალური მოძრაობა“).

„არჩევნები 2021“ - მხოლოდ საარჩევნოდ გავიდა ეთერში და არხმა მაყურებელს ნონსტოპის რეჟიმში მიაწოდა ინფორმაცია. გადაცემაში დრო დაეთმო შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს; „ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), “ლელო“ (ერთხელ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „ელენე ხოშტარია-დროა“ (ერთხელ), “ევროპული საქართველო“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში არხზე გადიოდა შემდეგი გასართობი გადაცემები, რომლებსაც სტუმრობდნენ საარჩევნო სუბიექტები და პოლიტიკოსები.

გადაცემა **“მთავარი დიაგნოზი“** - სამედიცინო შოუ, მას სტუმრობდა „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ).

„მხოლოდ ლელასთან“ ამ გადაცემას სტუმრობდა შემდეგი პოლიტიკური სუბიექტი “ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ).

„შენი დილა“ დილის გასართობი პროგრამა. გადაცემამ შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს დაუთმო დრო: “ნაციონალური მოძრაობა“ (რვაჯერ), “გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ).

„ვანოს შოუ“- გასართობი გადაცემის სტუმარი იყო “ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ).

„სადილი ქეთისთან“-კულინარიული შოუ, გადაცემის სტუმარი იყო “ნაციონალური მოძრაობა (ერთხელ).

„პუტკუნების კულინარიული მოგზაურობა“- კულინარიული შოუ - გადაცემის სტუმრობდა „ნაციონალური მოძრაობა“ (ორჯერ).

„ხალხთან თამაში“ - გასართობი გადაცემა, მისი სტუმარი იყო “ევროპული საქართველო“ (ერთხელ).

„სპორტი დიდ ქალაქში“ - სპორტული გასართობი შოუ. გადაცემის სტუმრები იყვნენ: „ნაციონალური მოძრაობა“ (ერთხელ), „გირჩი-მეტი თავისუფლება“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული ოცნება
81%
19%
ნაციონალური მოძრაობა
36%
64%
საქართველოს მთავრობა
78%
22%
ლელო
47%
53%
ევროპული საქართველო
44%
56%
ელენე ხოშტარია - დროა
49%
51%
გირჩი-მეტი თავისუფლება
52%
48%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
90%
10%
66%
34%
56%
43%
79%
21%
1%
1%
30%
69%
51%
48%
1%
0%
22%
78%
გირჩი-მეტი თავისუფლებას
ელენე ხოშტარია - დრონა
ევროპული საქართველო
ლელო
საქართველოს მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
1%
69%
66%
51%
1%
56%
79%
1%
90%
78%
საქართველოს მთავრობა
ელენე ხოშტარია - დრნა
ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
ლელი
გირჩი - მეტი თავისუფლება
ქართული ოცნება


გენდერი
22%
78%
ქალი
კაცი

<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე“ ახალი ამბები მიუკერძოებლად, ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით შუქდებოდა. არ გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ლექსიკა, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება და სუბიექტური დამოკიდებულება პოლიტიკური ძალების მიმართ.

„რუსთავი 2“-ი არჩევნების მეორე ტურის პერიოდს მიუკერძოებლად აშუქებდა, არ ჰქონდა ადგილი დეზინფორმაციისა და მანიპულაციის შემთხვევებს. წამყვანების მხრიდან ისმოდა კრიტიკული კითხვები ყველა მხარის მიმართ, თუმცა გამოწვევად დარჩა საინფორმაციო გამოშვების ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტებში მხარეთა შორის ბალანსის დაცვა.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ ეთერი აშკარად მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო. ადგილი ჰქონდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეშ დარღვევებს. ხშირი იყო ცალმხრივი სიუჟეტები და ირონიული დამოკიდებულება წამყვანების მხრიდან.

„ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ გადაცემებში ისმოდა მძიმე, დაუსაბუთებელი ბრალდებები, რომლებიც არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით, ჟურნალისტების იყენებდნენ ირონიულ და შეურაცხმყოფელ ლექსიკას. ღიად უჭერდნენ მხარს ოპოზიციურ კანდიდატებს. „მთავარი არხის“ შემთხვევაში დაფიქსირდა წამყვანის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებიც.

შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი მაგალითები მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მათზე რეაგირება და განხილვა, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არის შესაძლებელი, ხოლო მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება არც კომუნიკაციების კომისიაში და არც სასამართლოში.

კომისიამ განიხილა 1 საჩივარი საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით:

კომუნიკაციების კომისიამ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განუთავსებლობის შესახებ განიხილა „ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შპს „ტელეიმედს“ სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და სასამართლოს წარუდგინა. სასამართლომ გაიზიარა კომისიის არგუმენტები, იმედი სამართალდამრღვევად ცნო და დააკისრა სახდელი ჯარიმის სახით.

2021 წლის 27 და 28 ოქტომბერს კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „მთავარ არხს“ და „ტელეიმედს“ პოლიტიკური რეკლამების კანონდარღვევით განათავსების გამო სამართალდარღვევის ოქმები შეუდგინა, რომლებიც წარედგინა სასამართლოს. სასამართლომ არ გაიზიარა კომისიის არგუმენტები და სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყვიტა საქმის წარმოება „მთავარი არხის“ საქმეზე, ხოლო „ტელეიმედის“ საქმეზე ერთი ვიდეორგოლის განთავსების ნაწილში სცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო მეორე ვიდეორგოლის განთავსების ნაწილში შეწყვიტა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის/დაუდასტურებლობის გამო. კომისიამ ორივე დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

2021 წლის 18 ნოემბერს კომუნიკაციების კომისიამ „ტვ პირველს“, „მთავარ არხს“ და „ფორმულას“ პოლიტიკური რეკლამის კანონდარღვევით განთავსების გამო, სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. მაუწყებლებმა 27-29 ოქტომბერს ეთერში „ნაციონალური მოძრაობის“ ფასიანი პოლიტიკური რეკლამა განათავსეს, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“, „ევროპული საქართველოს“, „გირჩი - მეტი თავისუფლების“ და „დროას“ ლიდერები მონაწილეობდნენ. აღნიშნული პოლიტიკური რეკლამა „ტვ პირველმა“ ეთერში „ლელოს“ დაკვეთით განათავსა, რითაც საქართველოს საარჩევნო კოდექსი დაარღვია.

სამართალდარღვევის ოქმები სასამართლოს წარედგინა, რომელმაც სცნო მაუწყებლები სამართალდამრღვევად და დააკისრა სახდელი ჯარიმის სახით.

საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში: კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.